წელიწადი მეოთხე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური
და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა 15 აპრილი
1928 წელი

ჟურნალზე ხელის მოწერა მიიღება
გაზეთ „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში, ტფილისი რუსთაველის პროსპექტი, № 34. ჟურნალში მოსათავსებელი წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით ტფილისი, რევოლიუციის მუზეუმი—[illegible]

№ 65 (13)

## ჟურნალის შინაარსი

აღდგომა — **ივ. გომართელი**; როგორ უნდა ვებრძოლოთ ცრუმორწმუნეობას — **ს. ელიაძე**; ძველი უაზრობა ახალ სამოსელში — **ყარიბი**; მომავალი საზოგადოების ახალი ქალი — **ლეო შენგელაია**; საარჩევნო კამპანია საფრანგეთში — **კ. ბეიშვილი**; ჩვენი მრეწველობის 5 წლიანი გეგმისათვის—**ნ. ელიავა**; პოლიტიკური შენიშვნები—**უპარტიო**; რას ამბობენ ფაქტები—**ვლ. პაპავა**; ჩემი სააღდგომო მილოცვა—ლექსი — **ნ. ზომლეთელი**; უყაირათობისა და დაუდევრობის ერთი ნიმუში — **მეთვალყურე**.

# ა ღ დ გ ო მ ა

ქრისტე აღსდგა! ამ ორ სიტყვას თუთიყუშივით იმეორებენ მორწმუნენი საუკუნეთა განმავლობაში, **იმეორებენ** უაზროდ დაუფიქრებლად და ერთხელაც არ დაეკითხებიან საკუთარ თავს: განა მართლა შესაძლებელია, რომ მკვდარი აღდგეს?

ქრისტე ღმერთი იყო, ღმერთს კი ყველაფერი შეუძლია, აი დიდი საბუთი, რომელიც მოჰყავს ყველა მორწმუნეს.

ძველი წყობილების დროს ყველა ეს კითხვა ხელ შეუხებელი იყო და მას სასტიკად იცავდენ მეფის მთავრობა, მისი სამღვდელოება. მისი კანონები და მსაჯულები.

რატომ იყვენ ასე თავგამოდებული? არ უნდოდათ, რომ მშრომელ ხალს ჭეშარიტება გაეგო.

შეუგნებელი, გონება დაბნელებული ხალხი უფრო ადვილად დასამონებელი და სახედნია.

ამიტომაც ძველი მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ხალხს გონების თვალი არ აჰხელოდა. რევოლიუციამ მოსპო ძველი წყობილება. სამწუხაროთ ძველი შეუგნებლობა ჯერ კიდევ მაგრად არის ფესვებ გადგმული.

მეფე მოისპო, მაგრამ მისი სიცრუე დარჩა და ხალხს ჯერ კიდევ მაგრად ჩაუჭიდია ამ სიცრუისათვის ხელი. ერთ-ერთ ასეთს სიცრუეს წარმოადგენს ქრისტეს დაბადება და მისი მკვდრეთით აღდგომა.

იყო თუ არა მართლა ქრისტე? არსებობდა ის სინამდვილეში თუ მოგონილია, ზღაპრული პროვნებაა?

ბევრი მკვლევარი ამტკიცებს, რომ არავითარი ქრისტე არ არსებობდა და ის მხოლოდ გამოიგონეს შეთხზეს, რომ ამით ახალი სარწმუნოებისათვის უფრო მტკიცე საფუძველი გამოენახათ და მეტი გავლენა მოეპოვებიათ მისთვის. ყველა ასეთ მკვლევარს მოჰყავს სხვადასხვა მოსაზრებათა საბუთი თავისი შეხედულების დასამტკიცებლად.

მეორეს მხრით არსებობს მეორე საუკუნის საბუთები, წყაროები, თხზულებანი როგორც წარმართი მწერლებისა, აგრეთვე ქრისტიანებისა, მათი პოლემიკა.

ზოგიერთი ავტორი პოლემიკისა ვერაფრით ვერ ურიგდება იმ აზრს, რომ ქრისტიანები აღმერთებენ ვიღაც ავაზაკს, რომელმაც ჯვარზე დალია სული.

ყველა ამ საბუთების მიხედვით აშკარა ხდება, რომ ქრისტე მართლაც არსებობდა.

ყოველი ახალი სარწმუნოება შეკავშირებულა ამა თუ იმ პიროვნებასთან.

ცხადია იყო ვიღაც, ვინც ქრისტიანულ სარწმუნოებას საძირკველი ჩაუყარა.

ბევრის მტკიცებით ეს არის მოციქული პავლე.

მართალია ის, რომ ახალი სარწმუნოების სიმტკიცე პავლე არის, მაგრამ თუ კი პავლე არსებობდა, არსებობდა ქრისტეც, რადგანაც თავის ეპისტოლეებში და მიმართვაში პავლე ემყარება ქრისტეს ქადაგებას და ხშირად ახსენებს მას.

—

ქრისტე არსებობდა, მაგრამ მას არაფერი არა ჰქონდა საერთო იმ ქრისტესთან, რომელიც შემდეგ გამოიგონა სასულიერო მთავრობამ, გამოაცხადა ღმერთად და დააბინავა ცაში.

ქრისტე იყო ადამიანი, შვილი მარიამისა და იოსებისა.

რა თქმა უნდა დაიბადა ისე, როგორც იბადება ყოველი ადამიანი და თქმულება, თითქოს ქრისტე სული წმინდის ძალით ჩაესახა მარიამს სქესობრივი კავშირის გარეშე. არა თუ ზღაპარია, სისულელეა. არავითარი სულიწმინდა არ არსებობს, ხოლო თქმულება ღმერთის დაბადებისა ქალწულისაგან ძველად არსებობდა კერპთაყვანის მცემლებში, სასულიერო მთავრობამ ისარგებლა ამ თქმულებით, როდესაც ქრისტეს გაღმერთება დასჭირდა და შეთხზა ზღაპარი ქრისტეს ჩასახვისა და დაბადებისა. ,

მარიამს ქრისტეს გარდა სხვა შვილებიცა ჰყავდა და-

სებისაგან, მიუხედავად ამისა ის მაინც ქალწულად იხსენიება.

ქალსა ჰყავდა ქმარი, ჰყავდა შვილები, მიუხედავად ამისა მაინც ქალწულია და მაინც.

და ყველა ეს სისულელე იმისათვის დასჭირდათ ძველად, რომ მშრომელი ხალხისათვის თვალები აეხვიათ და გონება დაებნელებიათ.

რას ქადაგებდა ქრისტე, ჩვენ არ ვიცით, ჩვენ დრომდე მოატანა ორმოცდაათზე მეტმა სახარებამ; რომელთაგან არც ერთი არ არის დაწერილი ქრისტეს რომელიმე მოწაფის მიერ. დღეს უკვე გამორკვეულია მეცნიერებისაგან, რომ მეორე საუკუნეზე ადრე არც ერთი სახარება არ არის, დაწერილი.

მაშინ კი ქრისტეს მოწაფეებში არც ერთი აღარა ყოფილა ცოცხალი: ზოგი ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა, ზოგიც რომის მთავრობამ მოჰკლა.

სასულიერო მთავრობამ ამ ორმოცდაათ სახარებიდან ამოარჩია ოთხი, რომლებშიაც უფრო მეტი სიცრუე იყო ქრისტეს ბუნების შესახებ და გამოაცხადა: ეს ოთხი სახარება ნამდვილია, დაწერილია ქრისტეს მოწაფეებისაგან, სხვები კი ყალბიაო. ზოგი რამ, რაც სახარებებშია, უსათუოდ ეკუთვნის ქრისტეს; გადმოცემამ შეინახა ის და შემდეგ სახარებაში შეიტანეს მისმა ავტორებმა.

ქრისტე თავის ქადაგებით არღვევდა ძველს სარწმუნოებას, ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობას და ამყარებდა ახალს.

მისი მსმენელი იყო ღარიბი, ღატაკი, გაყვლეფილი ხალხი და არა ბატონები, მდიდრები და მემამულეები.

სწორეთ ამიტომ დაუწყეს ქრისტეს დევნა.

ქრისტეს უნდოდა გაყვლეფილი შრომელი ხალხის განთავისუფლება და მდიდრების ბატონობის მოსპობა.

ამისათვის ერთად-ერთი გზა იყო მშრომელი ხალხის შეკავშირება, დარაზმვა და რევოლიუცია.

ქრისტემ ეს გზა უარჰყო: ბოროტებას ძალით არ უნდა გაუმკლავდეთო, და მიმართა სარწმუნოებას. მას უნდოდა სოციალური საკითხის გადაჭრა სარწმუნოების საშუალებით.

ამ მხრივ ის წმინდა უტოპისტი იყო. მას ეგონა ქადაგების საშუალებით დააჯერებდა მდიდრებს, რომ მათ თავისი ქონება ღარიბებისათვის გაენაწილებიათ, სულ სხვა ბუნებისა იყო მისი მოწაფე იუდა ისკარიოტელი. ის იყო ნამდვილი რევოლიუციონერი და პატრიოტი, რომელსაც უნდოდა რომაელთა ბატონობის მოსპობა და მშრომელი ებრაელების განთავისუფლება, ქრისტეში მან დაინახა დიდი ძალა, რომელსაც შეეძლო მთელი მშრომელი ებრაელობის ფეხზე დაყენება და სწორეთ ამიტომ მიეკედლა ქრისტეს, ამიტომ შიყვარა ის.

ქრისტეს გამგზავრება იერუსალიმს იუდას საქმე იყო.

ქრისტეს ამ დროს ნაციონალური მთავრობა სდევნიდა და ეძებდა. იუდამ კარგად იცოდა, რომ იერუსალიმში ქრისტეს დაჭერას დაუპირებდენ, მაგრამ იუდა დარწმუნებული იყო, რომ ხალხი ქრისტეს არ დაანებებდა, მოხდებოდა აჯანყება და ამას შედეგად მშრომელი ებრაელობის განთავისუფლება მოჰყვებოდა.

იუდას ანგარიში არ გაუმართლდა, ხალხი არ აჯანყდა, ქრისტე ტყუილა დაიღუპა და ამიტომ იუდამ თავი მოიკლა. ზღაპარი იუდას მიერ ქრისტეს გაყიდვისა ოცდაათ ვერცხლად მხოლოდ შემდეგ არის შეთხზული იმის დასამტკიცებლად, რომ ქრისტე ვითომ ღმერთი იყო და უნდა წამებულიყო კაცობრიობის ცოდვის გამოსასყიდლად.

მერე რა ცოდვაა ეს ცოდვა? ადამ და ევამ ედემის ბაღში შეჭამეს რაღაც ხილი, რომლის ჭამაც ღმერთმა მათ აუკრძალა! ამისთანა უჭკუო ზღაპრებითა ჰკვებავენ საუკუნეების განმავლობაში მშრომელ ხალხს და მაინც სჯერა და სჯერა დღემდე!

ქრისტე დაიჭირეს მდიდრებმა და მისმა მთავრობამ, გაასამართლეს და როგორც არსებული წესწყობილებისა და სარწმუნოების მტერი დასაჯეს უმაღლეს სასჯელით —ჯვარცმით.,

ქრისტე მოკვდა ჯვარზე და შემდეგ დაასაფლავეს.

მესამე დღეს ქრისტე მკვდრეთით აღსდგაო, სწერია ახალ აღთქმაში. მეცნიერებამ დიდი ხანია დაამტკიცა, რომ მკვდრეთით აღდგომა შეუძლებელია.

რატომ?

როგორც კი შეწყდება გულის ცემა, ჩვენი სხეულის სხვადასხვა ქსოვილებში მაშინათვე იწყება სხვადასხვა ცვლილება, ხრწნა და დაშლა. სამი დღის მკვდარს უკვე საკმაოდ გახრწნილი აქვს თირკმელები, ფილტვები, გული, ნაწლავები, ტვინი და სხვ. სისხლი შედედებული აქვს და ხელახლა მისი ამოძრავება შეუძლებელია.

ქრისტე იყო ადამიანი და მას ჰქონდა ისეთივე სხეული, როგორიც საერთოდ ყოველ ადამიანს.

მოკვდა ისე, როგორც კვდება ყოველი ჩვენგანი; გაიხრწნა და დაიშალა მიწაში ისე, როგორც ყოველი მიცვალებული, და შეუერთდა ბუნებას, რომელიც აძლევს სხეულსა და სიცოცხლეს ყოველ ქმნილებას.

ის არ ამდგარა, მკვდრეთით, ისე როგორც არც ერთი მიცვალებული არა დგება.

მაშ რისთვის მოიგონეს ეს უკუდო ტყუილი?

იმისათვის, რომ ქრისტე ღმერთად გამოეყვანათ.

ქრისტეს გაღმერთება რაღა საჭირო იყო?

მშრომელი ხალხის მოსატყუებლად და თვალების ასახვევად. როდესაც მთავრობა დარწმუნდა, რომ მიუხედავად საშინელი დევნისა ახალმა სარწმუნოებამ საშინლად მოიკიდა ფეხი მშრომელ ხალხში, ეს კი დიდ საფრთხეს უმზადებდა არსებულ წესწყობილებას და ბატონების ძალა უფლებას, მაშინ მთავრობამ მიმართა შემდეგ ხერხს თავისი მდგომარეობის შესანარჩუნებლად და მშრომელი ხალხის მეამბოხე განწყობილების შესანელებლად: მან გამოაცხადა ქრისტე ღმერთად და თვითონ მიიღო ქრისტეს სარწმუნოება.

რაკი ქრისტე ღმერთად აღიარეს მისი მიწაში დატოვება შეუძლებელი იყო: ამიტომ აღადგინეს ის მკვდრეთით და აამაღლეს ზეცას, რადგანაც ღმერთის ცაში ეძებს ხალხი.

მშრომელმა ხალხმა იფიქრა: რაკი მეფემ, მთავრობამ და მდიდრებმა თვითონ მიიღეს ახალი სარწმუნოება, ნამდვილად სამოთხეს დაამყარებენ დედამიწაზეო, მიენდო მატყუარებს და მიეცა ოცნებას.

მთავრობამ ისარგებლა ხალხის ასეთი განწყობილებით, გააბრუა ის ეკლესიებით და ბრწყინვალე მღვდელთმსახურებით, შექმნა სასულიერო ძალაუფლება და ისეთი მუხრუჭები მოუჭირა მშრომელ ხალხს, რომ მრავალი საუკუნეების განმავლობაში სრულებით ჩაჰკლა ყოველგვარი შესაძლებლობა რევოლიუციისა.

ეს გაკვეთილი ბევრს რამმე ასწავლის მუშა ხალხს: თავისი ბედი მან თვითონ უნდა აიღოს მტკიცეთ ხელში და ფხიზელ დარაჯად უნდა უდგეს საკუთარ საქმეს თორემ ბევრჯერ დარჩება მოტყუებული.

ივ. გომართელი.

# როგორ უნდა ვებრძოლოთ ცრუ მორწმუნეობას

ჩვენი წერილის მიზანს არ შეადგენს იმის დასაბუთება, თუ საიდან წარმოიშვა სარწმუნოება, როგორ იყენებდა და იყენებს მას გაბატონებული კლასები მშრომელი ხალხის გონების დასაჩლუნგებლად და რაოდენ ზიანს აყენებს ამ უკანასკნელს ცრუმორწმუნეობა და მისგან გამომდინარე შედეგები. ჩვენ გვსურს მხოლოდ ხაზი გაუსვათ იმ გარემოებას, თუ რამდენად არის ფეხგადგმული სარწმუნოებრივი კულტი საბჭოთა რესპუბლიკებში და რა ზომები უნდა იქნას მიღებული პარტიულ, პროფესიონალურ, საბჭოთა და სხვა საზოგა-

დოებრივ ორგანოების მიერ ცრუმორწმუნოების წინააღმდეგ საბრძოლველად.

თუ შევადარებთ საბჭოთა რესპუბლიკებს, ჩვენ დავინახავთ, რომ იქ, სადაც მშრომელი ხალხის კულტურული დონე შედარებით მაღლა სდგას, ცრუმორწმუნეობასა და სამღვდელოების თარეშს გაცილებით ნაკლები გასავალი აქვს, ვინემ ისეთ რესპუბლიკებში, სადაც ხალხის გონებრივი განვითარება დაბალ დონეზე სდგას. ამ ფაქტის საილიუსტრაციოთ ჩვენ ავიღებთ საბჭოთა კავშირის სამ რესპუბლიკას: რუსეთს, უკრაინას და საქართველოს“.

დავიწყოთ პირველიდან. საქართველოში ცრუმორწმუნეობის საწინააღმდეგო ძლიერი მოძრაობა დაიწყო, ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლიუციის პერიოდში. იმ დროს საქართველოს მშრომელი გლეხობა საკუთარი ინიციატივით მართავდა საზოგადო კრებებს, რომლებზედაც გლეხობას ერთხმად გამოქონდა დადგენილებები ეკლესიისა და ქელეხების აკრძალვისა და საეკლესიო დღესასწაულების უარყოფის შესახებ. ამ მოძრაობამ იმდენად ფართე ხასიათი მიიღო, რომ ეკლესიები თითქმის დაცალიერდა მლოცველებისაგან და ბევრი მღვდელი იძულებული გახდა „ღვთის მსახურებაზე“ ხელი აეღო და სამოქალაქო ცხოვრებას შესდგომოდა.

რეაქციის გამარჯვების შემდეგ თვითმპყრობელობამ კვლავ შეეცადა დაებრუნებია სარწმუნოებისათვის ის ნდობა, რომლითაც ეკლესია სარგებლობდა 1905 წლის რევოლიუციამდე. 1905 წ. რევოლიუციის დამარცხების შემდეგ ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც გურიის სოფლებში ახლად მოვლენილი დაქირავებული მამასახლისები (სარწმუნოებით მუსულმანები) მათრახებით მიერეკებოდნენ გლეხობას ეკლესიაში და ძალით სურდათ მათთვის თავზე მოეხვიათ სარწმუნოებრივი გრძნობები, მაგრამ თვითმპყრობელობის ვერც ამ ხერხმა გასჭრა და რეაქციის ხანაშიაც ეკლესიები ისევ ცარიელი დარჩნენ მლოცველებისაგან, როგორც რევოლიუციის პერიოდში.

მოსახლეობის სრულიად ჩამოცილებას ეკლესიისაგან იმ დროს ხელს უშლიდა აგრეთვე მეორე გარემოებაც. საქმე იმაშია, რომ მაშინდელი კანონმდებლობით ეკლესიას და სამღვდელოებას ქონდა ჩაბარებული ცოლქმრული შეუღლება, ახლად დაბადებულისა და გარდაცვალებულთა რეგისტრაცია. ეს გარემოება ძალაუნებურად აჯაჭვავდა მშრომელ ხალხს ეკლესიაზე და დროგამოშვებით მაინც მოქალაქე იძულებული იყო სამღვდელოებისთვის მიემართა.

ოქტომბრის რევოლიუციამ ასეთ მდგომარეობას ბოლო მოუღო. დიდი ხნის წინად სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ წამოყენებული მოთხოვნილება ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფის შესახებ ფაქტად იქცა. ეკლესია ჩამოაცილეს სახელმწიფოს. მას ჩამოერთვა უძრავი ქონება და სარწმუნოება კერძო საქმედ იქნა აღიარებული. დღეს ყველა ის ფუნქციები, რასაც წინად სამღვდელოება ასრულებდა, გადავიდა სამოქალაქო აქტების ჩამწერ ორგანოს ხელში და სამღვდელოებას შერჩა მხოლოდ საეკლესიო წიგნების კითხვის უფლება სამლოცველო სახლებში. სახელმწიფო ერთ გროშსაც აღარ ხარჯავს სამღვდელოების შესანახად და მოქალაქეც, თუ მას სურვილი არა აქვს არაფერს იხდის ეკლესიების სასარგებლოდ.

ასეთ პირობებში რა თქმა უნდა, უფრო ადვილია ცრუმორწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლა და ჩვენ ვხედავთ, რომ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ანტირელიგიურმა მოძრაობამ მიიღო მასიური ხასიათი. ყოველგვარი ადმინისტრატიული ზეგავლენს გარეშე მშრომელი მოსახლეობა უარყოფს ეკლესიას, აუქმებს საეკლესიო დღესასწაულებს, სპობს ქელეხებს და სხვა.

ჩვენ არა ერთი მაგალითი ვიცით იმის შესახებ, როდესაც გლეხობას საერთო კრებაზე ერთხმად გამოაქვს დადგენილება ეკლესიების კულტურულ კერად გადაკეთების შესახებ, ან და სრულებით ანგრევენ მას და მისი მასალით აგებენ სკოლებისა და კლუბების შენობებს. გლეხობის ასეთი ანტირელიგიური მოძრაობა იმდენად ერთსულოვანია, რომ საქართველოს თითქმის არც ერთ სოფელში ამ ნიადაგზე არავითარ ინციდენტს და გაუგებრობას არ ქონია ადგილი მორწმუნეთა და ურწმუნოების შორის.

უკანასკნელად დიდი მოძრაობაა აგრეთვე სოფლად საეკლესიო დღეობების გაუქმებისა და მის ნაცვლად რევოლიუციონურ დღესასწაულების შემოღების შესახებ. საბჭოთა პრესის ფურცლებზე მკითხველი ხშირად შეხვდება ცნობებს ამა თუ იმ სოფლის შესახებ, რომელშიაც ვკითხულობთ, რომ გლეხობამ საერთო კრებაზე მიიღო დადგენილება რელიგიური დღესასწაულის გაუქმების შესახებ და მის ნაცვლად აქედან გადარჩენილი თანხით გადასწყვიტა გამოიყვანოს სოფელში წყალსადენი, ან გააკეთოს სხვა რაიმე საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმე.

ამ ფაქტის საილიუსტრაციოთ ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ თემში შემავალ სოფლების განცხადებას, რომელშიაც ნათქვამია: „ქვიტირის თემში (ქუთაისის მაზრა) შემავალი სოფლები: 1) ზედა-ქვიტირი, 2) შუა-ქვიტირი, 3) ქვედა-ქვიტირი, 4) ბანოჯა; 5) ზედა-მესხეთი და 6) ვაკისუბნის მცხოვრებლები ამით აცხადებენ ნათესავების და ნაცნობების საყურადღებოდ, რომ ზემოთ აღნიშნულ სოფლებში ყველა რელიგიური დღესასწაულები: შუა და ზედა-ქვიტირში და ბანოჯაში „კოხინჯრობა“, ქვედა-ქვიტირში და ვაკისუბანში „ახალ-კვირა“ და ზედა-მესხეთში „ამაღლება“ გაუქმებულია სოფლად ამჟამად კულტურული აღმშენებლობის მიზნით და ნურავინ შეიწუხებს თავს აღნიშნულ დღესასწაულებზე მოსვლით“.

ზემოხსენებული განცხადება, სხვა მსგავს დადგენილებებთან ერთად, საკმაოდ ნათელ სურათს იძლევა იმის დასადასტურებლად, თუ რა ძლიერია დღეს გლეხობაში ლტოლვა საეკლესიო დღეობების საწინააღმდეგო და რაგვარ კულტურულ და აღმშენებლობითი მუშაობაშია ჩაბმული საბჭოთა სოფელი.

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში?

მაგალითისათვის ავიღოთ უკრაინა. მართალია, იქაც დიდია ანტირელიგიური მოძრაობა, მაგრამ არა ისეთი სიღრმით, როგორც ამას ჩვენ ვხედავთ საქართველოში. ამ რესპუბლიკიდან მიღებულ ცნობებში მკითხველი ხანდისხან შეხვდება ისეთ კურიოზულ მოვლენებს, რომელსაც საქართველოს სინამდვილეში არ ქონია ადგილი მას შემდეგ, რაც რევოლიუციონური მოძრაობა დაიწყო.

ამას წინად გაზეთებში გამოქვეყნდა ხარკოვიდან გადმოცემული ცნობა, რომელიც ეხებოდა უკრაინაში მორწმუნეთა თვითმოქმედების გაძლიერებას უკანასკნელი წლების განმავლობაში. მკითხველისათვის ინტერეს მოკლებული არ იქნება ამ ცნობის შემოკლებით მოყვანა: „აპრილის ბოლო რიცხვებში ხარკოვში გაიმართება უკრაინის ურწმუნოთა კავშირის კონფერენცია, რომელიც განიხილავს ანტირელიგიური პროპაგანდის გაძლიერების საკითხს. როგორც ირკვევა, ანტირელიგიური ფრონტზე ყველაფერი რიგზე არ არის. უკრაინაში ამჟამად გამოდის 11 საეკლესიო ჟურნალი, რომელთა ტირაჟი უდრის 33 ათას ეკზემპლიარს. ამ რელიგიურ ლიტერატურის წინააღმდეგ გამოდის მხოლოდ ერთი ანტირელიგიური ჟურნალი, რომლის ტირაჟი უდრის 6.000 ეკზემპლიარს. არაპერიოდული ანტირელიგიური ლიტერატურა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გამოშვებულ იქნა 95000 ეკზემპლიარის რაოდენობით, ხოლო მორწმუნეებმა ამავე ხნის განმავლობაში გამოუშვეს 77 წიგნი და ბროშურები 3.849.000 ეკზემპლიარის რაოდენობით“. ასეთია ეს ცნობა.

ფრიად დამაფიქრებელი მოვლენაა. საბჭოთა უკრაინამ, რომელმაც თავისი არსებობის ათი წლის თავი იდღე-

ხასწრულა, ანტირელიგიური მოძრაობა არა თუ ფართოვდება, არამედ ნელდება კიდეც და სარწმუნოების მსახურებს ასე დიდი ნიადაგი აქვთ მშრომელთა რესპუბლიკაში.

თავისთავად ცხადია, რომ ყველა ამ ჟურნალებისა და წიგნების გამოცემას დიდძალი თანხები სჭირდება, საიდან შოულობს ამას სამღვდელოება? რა თქმა უნდა მორწმუნეთაგან და ჩვენ ვიცით. რომ პოლიტიკურ ბრძოლაში დამარცხებულ ანტისაბჭოთა პარტიებს დღეს თავიანთ სამოქმედო ასპარეზათ გადაქცეული აქვთ კულტურული ფრონტი. „ნეპის“ მიერ წარმოშობილი ახალი ბურჟუაზია დიდძალ თანხებს აძლევს სამღვდელოებას, რომ ამ უკანასკნელმა რელიგიური პროპაგანდის გაღვივებით შეაფერხოს სოც. აღმშენებლობა და მით ნიადაგი მოამზადოს მშრომელი ხალხის პესიმიზმისათვის სოციალიზმის მიმართ. სამღვდელოებას და ბურჟუაზიას კარგად ესმის, რომ კულტურული რევოლიუციის გარეშე შეუძლებელია სოციალისტური მშენებლობის სასურველი ტემპით გაჩაღება და ისინიც ხელისუფლებას წინ ელობებიან მშრომელი ხალხის გათვითცნობიერების საქმეში.

უკრაინაში გაჩაღებული რელიგიური პროპაგანდა-აგიტაცია. აშკარაა საბოლოო ანგარიშით მიზნად ისახავს პოლიტიკური კაპიტალის შეძენასაც. მათი მიზანია ჩამორჩენილი გლეხობის ანტი - საბჭოთა ბანაკში გადაბირება და ამით სათანადო ნიადაგის მომზადება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეტევისათვის.

უკეთესი მდგომარეობა, როგორც სჩანს არც რუსეთის ზოგიერთ რაიონებშია. გამოქვეყნებულ ცნობის მიხედვით ვლადიმირის გუბერნიაში ერთ-ერთ მღვდელს შეუგროვებია ეკლესიის სასარგებლოდ 35 ათასი მანეთი და ამ თანხის ნაწილი შეგროვილა თვით მუშათა ოჯახებშიაც.

სამღვდელოების ასეთ ამოძრავებას უსათუოდ უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება პარტიისა და ხელისუფლების მიერ. აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო უბრალო რელიგიურ მოძრაობასთან, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტთანაც. მართალია, რელიგიის საწინააღმდეგო ბრძოლაში მხოლოდ ადმინისტრატიული ზომები არ გამოდგება, მაგრამ თუ საჭიროება მოითხოვს, მშრომელთა ხელისუფლება არც ამას უნდა დაერიდოს.

რა პრაქტიკული ნაბიჯები უნდა იქნას გადადგმული ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ საბრძოლველად?

რა თქმა უნდა, აქ პირველ რიგში სდგას აგიტაცია-პროპაგანდის გაძლიერების საჭიროება სათანადო ორგანოების მიერ, მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ აგრეთვე სხვა საშუალებანიც. ხელისუფლების დეკრეტით ბევრი საეკლესიო დღესასწაული ჯერ კიდევ უქმეთ, ან დასასვენებელ დღეთ არის აღიარებული. ასეთებია მაგალითად ქრისტეშობა, ნათლისღება, ამაღლება ად სხვ. ამას ზედ ერთვის აგრეთვე აღდგომის მეორე დღის—ორშაბათის განსაკუთრებულ დასასვენებელ დღეთ გამოცხადება. ჩვენის ფიქრით უქმი და დასასვენებელი დღე მუშის და გლეხისათვის არსებითად არაფრით არ განსხვავდება ერთ-მერისაგან—ორივე დღე დასასვენებელია. შეიძლება ამის დაკანონება საჭირო იყოს საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკებში, მაგრამ საქართველოს პირობებში, სადაც რელიგიას საკმაოდ გამოცლილი აქვს ნიადაგი არა თუ მუშა-მოსამსახურეებში, არამედ გლეხობაშიაც და მის სავსებით აღმოსაფხვრელად მმართველი პარტია გაცხოველებულ კამპანიას აწარმოებს, არ არის საჭირო ზემოხსენებულ საეკლესიო დღეების დასასვენებელ დღეებად გამოცხადება. ისინი უნდა გაუქმდეს და მათ ნაცვლად დაწესდეს სხვა რევოლიუციონური დღესასწაულების უქმად გამოცხადება, ან ზაფხულში გავამრავლოთ დასასვენებელი დღეები.

მეორეს მხრივ ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე კოოპერატიულ ორგანიზაციების მოქმედებასაც. გაზეთები სავსეა წერილებით აღდგომის უარყოფის შესახებ, ხოლო ჩვენი კოოპერატიული სავაჭროები ერთი კვირით ადრე შეუდგნენ მზადებას პასკის ცხობისთვის და სავაჭროები სავსეა ამ ტკბილი ნამცხვარებით, ხოლო გორის კოოპერატივი, ერთ ფუთ პასკის ფქვილს აძლევს იმ წევრებს, რომლებსაც გადახდილი აქვთ სრული პაი. ამ ფაქტის გამართლება არაფრით არ შეიძლება. კოოპერატივები იმისთვის არ არის მოწოდებული, რომ უსათუოდ ისეთი საქონელით ივაჭრონ, რომელიც საგრძნობ მოგებას იძლევა. ამის შემყურე მუშა ძალაუნებურად ებმება რელიგიური დღესასწაულის მახეში და გაზეთებში გაჩაღებული პროპაგანდაც ვეღარ აღწევს დანიშნულ მიზანს.

რელიგიის საწინააღმდეგო ბრძოლა აუცილებლად საჭიროა, მაგრამ ამასთან ერთად უნდა ვეცადოთ, რომ ამ ბრძოლამ მართლაც გამოიღოს შესაფერი ნაყოფი და ჩვენმა სავაჭრო ორგანიზაციებმა ასეთ ბრძოლას დახმარების ნაცვლად ხელი მაინც არ უნდა შეუშალონ.

**ს. ელიაძე**

# ძველი უაზრობა ახალ სამოსელში

## ს. დევდარიანის „საქართველოს ეკონომიკის საკითხები“-ს გამო

II

მთელი საუკუნის განმავლობაში ყველა შეგნებული ქართველისთვის სატირალი და სავალალო მხოლოდ ის იყო, რომ თვითმპყრობელობა წმინდა წყლის იმპერიალისტურ პოლიტიკას აწარმოებდა ჩვენში, რომ ის სარგებლობდა ჩვენი „ნედლი მასალით“, მაგრამ მთელი თავისი ძალ-ღონით ცდილობდა ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის ჩაკვლას. ილია ჭავჭავაძე და მისი სკოლაც კი ჩინებულად ხედავდა, რომ საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ოცნებობა ყალბი თამასუქი იქნებოდა, თუ ამ დამოუკიდებლობას მყარი ეკონომიური საფუძველი არ ექნებოდა. ჩვენში ყველა გრძნობდა, რომ სანამ საქართველოს არ ექნებოდა თავისი საკუთარი, პური, ფართალი და სხვა აუცილებლად საჭირო საქონელი, მისი დამოუკიდებლად არსებობაც შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ იყო, რომ ჩვენში ყველა ეკონომიურ აღორძინებაზე ფიქრობდა, ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძე ოცნებობდა 5—6 მილიონი მანეთის შოვნას იმ მიზნით, რომ ალაზნის უზარმაზარი ველისა და სხვა ადგილების მოსარწყავად არხები გაეყვანა და მით საქართველო საკუთარი პურით უზრუნველეყო.

ასეთი იყო ილიასა და მისი თაობის ოცნება, რომელიც მხოლოდ ოცნებად რჩებოდა. რატომ? იმიტომ რომ რუსეთის ბიუროკრატიამ მათზე ნაკლებად არ იცოდა, რომ ეკონომიური დამოუკიდებლობა მყარი საძირკველია პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვის. ამიტომ იყო, რომ თვითმპყრობელი რუსეთი გასაქანს არ აძლევდა საქართველოსა და საერთოთ ამიერ-კავკასიის ეკონომიურ ძალებს. ამ მხრით ის ისე შორს მიდიოდა, რომ თვით ისეთ ყველასთვის აშკარა წარმოებას, როგორიც მაგრანეცია, გზას უხლართავდა. მის მაგიერად, რომ ჭიათურიდან მთავარ მაგისტრალამდე ფართე ლიანდაგიანი რკინის გზა გაეყვანა და მარგანეცის ფოთამდე გადაზიდვა გაეადვილებია და გაეიაფებია, მან ძლივს, რის ვაი-ვაგლახით გამოიმეტა ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა და ისიც ისეთი ფრახტით დატვირთა, რომ მარგანეცის 35 ვერსის მანძილზე გადატანა უფრო ძვირად ჯდებოდა, ვიდრე მთავარ მაგისტრალზე 150 ვერსის მანძილზე გადატანა. ამას ერთვოდა შორაპანში მარგანეცის პატარა ვაგონებიდან დიდ ვაგონებში გადატვირთვის ხარჯები.

ასე იყო წარმოების ყველა სხვა დარგებშიც ჩვენში

ფაბრიკებსა და ქარხნებზე ხომ აქ არვინ არ ფიქრობდა...

ეს იყო უდიდესი მიზეზი იმ გარემოებისა, რომ მენშევიკური საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა წყალზე დაწერილი თამასუქი გამოდგა. მენშევიკურმა ხელისუფლებამ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ჩაკეტა ფოთის ხიდი და დარიალის ვიწროები და ეგონა მით საქართველოს ააშენებდა, მაგრამ სხვისი ხელის შემყურე ქვეყანა სხვის დაუხმარებლად ვერ იარსებებდა...

ჩვენ არ გაგვაჩნდა საკუთარი პური, მაზუთი, ფართალი. ამიტომ იყო, რომ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის არსებობა შეუძლებელი შეიქნა. ის დაეცა და მისი ადგილი საბჭოთა წყობილებამ დაიკავა. ეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის მარტო გარეგანი ფორმის შეცვლა როდი იყო. ეს სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკის ძირ-ფესვიანად შეცვლას მოასწავებდა. კომუნისტური პარტია და ხელისუფლება, რომელმაც ყველა ერების თანასწორობის დროშა აღმართა, რომელმაც თავისი ყოფნა - არყოფნის საგნად სოციალიზმის დამყარება დაისახა, ვერ გაიმეორებდა თვითმპყრობელობის იმპერიალისტურ პოლიტიკას, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ განაპირა ქვეყნებისთვის ტყავი ეძრო და ყველა პატარა ერები ცენტრის საწველ ფურად გადაექცია.

ამ ახალი პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება ადვილი საქმე როდი იყო. კომუნისტურ პარტიასა და ხელისუფლებას დიდი ბრძოლა უხდებოდა ამ ახალი სოციალისტური პოლიტიკის განაპირა მხარეებში გასატარებლად. საქმე იმაშია, რომ წარსულმა კოშმარულმა რეჟიმმა სპეცების სახით მრავალი ისეთი პირები დაგვიტოვა, რომლებიც, ნებსით თუ უნებლიეთ, **ძველ პოლიტიკის ახალ ცხოვრებაში** გატარებას ცდილობდენ. ცდილობდენ რაც შეიძლება ნაკლები მიეცათ „ოკრაინებისთვის; თუ კი გაუვიდოდათ, არ იმეტებდენ განაპირა რესპუბლიკებისთვის ქარხანა-ფაბრიკებს... მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ მალე აუღო ალღო ასეთ „სპეცებს“, მალე მიუხვდა, რომ ესენი ძველი რეჟიმის მიერ იყვენ დატოვებული ახალი წყობილების მოსისხლე მტრად, ისე, როგორც ბერძნების მიერ ილიონის მოსასპობად დატოვებული ხის ცხენი... ასეთ „სპეცებს“ მალე აუკრეს კრიჭა... ჩვენ ისიც გვახსოვს, რომ ასეთი „სპეცები“ ჩვენშიც, ქართველებშიც, აღმოჩნდენ. იყო ისეთი მაგალითიც: როცა მოსკოვში გადაწყდა საქართველოში ქაღალდის ფაბრიკის დაარსება, ჩვენს უნივერსიტეტში აღმოჩნდა ისეთი პროფესორი, რომელიც სერიოზულად უმტკიცებდა მოსკოვიდან ამ საქმის მოსაგვარებლად მოსულ სპეციალისტს: რათ გვინდა ქაღალდის ფაბრიკა? ეს მხოლოდ ჩვენს ტყეებს გააჩანაგებს და საქართველოს დაღუპავსო...

როგორც იყო დავაღწიეთ თავი ძველი იმპერიალისტური რეჟიმის ნაშთებს, როგორც იქნა ეღირსა ჩვენს ქვეყანას ახალ გზაზე გამოსვლა, ვეღირსეთ საკუთარი სახელმწიფოს მშენებლობას, როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე მსხვილი მრეწველობის ყველა დარგებში... დღეს ოცი მილიონი მანეთი იხარჯება ამ დარგებში საქართველოს ტერიტორიაზე. ამ დიდი თანხებისდახარჯვის შედეგები სულ მალე, სამიოდე წლის განმავლობაში უნდა მივიღოთ. ზოგი წამოწყებები უკვე დამთავრებულია (ზაჰესი, აბაშის ჰიდრო სადგური და სხვა), ზოგი მიმდინარე 1928 წლის განმავლობაში დამთავრდება, ზოგიც 1930 წლამდე უნდა დამთავრდეს.

ერთი სიტყვით, ოქტომბრის რევოლიუციამ საქართველო იხსნა იმპერიალისტური პოლიტიკისაგან, რომელიც მთელ საუკუნის განმავლობაში მაჯლაჯუნასავით აწვა თავზე ჩვენს ქვეყანას. ჩვენ უკვე გადაურჩით ცენტრში დარჩენილ „სპეცებს“. მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენს შინაურ „სპეცებთან“ გვჭირდება იმისი მტკიცება, რომ ორჯერ ორი ოთხია და, რომ ჩვენი ქვეყნის ხსნა მხოლოდ და მხოლოდ ინდუსტრიალიზაციაში.

მოქ. დევდარიანი კი „საქართველოს ეკონომისტ“-ში გვეუბნება: რამ გაგაგიჟათ? რა ჩვენი საქმეა ინდუსტრიალიზაცია? ჩვენი ქვეყანა „ნედლი მასალის არეთ უნდა დარჩეს“, მან მხოლოდ სხვა სახელმწიფოებს ნედლი მასალა უნდა მიაწოდოს და თავის საკუთარ მრეწველობაზე ოცნებობას თავი გაანებოსო.

ს. დევდარიანის ეს უნათო აზრი ერთ პატარა დიალოგს გვაგონებს:

დედა: მჭადი რომ არ გვექნება რას სჭამ?
შვილი: მამა ჩემის ულუფას ვჭამ.
დედა: მამა შენს რომ არ ექნება?
შვილი:???

ს. დევდარიანსაც ამ ბავშის ამბავი ემართება. კარგი დავუჯეროთ მას; იყოს საქართველო „ნედლი მასალის არეთ“. აწოდოს მას სხვა ქვეყნებს ნედლი მასალა მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს ნედლი მასალაც რომ არ ექნება? თუ მას გონია რომ ჩვენში ეს „ნედლი მასალა“ ულევლად მოიპოება, ცდება. ამ ნედლი მასალის მარაგი საქართველოს დიდხანს ვერ შეინახავს.

რაში მდგომარეობს მაინც ეს ჩვენი ნედლი მასალა? მატყლი, ბამბა, ჩაი, ღვინო, ხილი, ხე-ტყის მასალა და სხვა ასეთები. მაგრამ ყოველი ამისთვის საჭიროა მიწა, ის მიწა, რომლითაც სიმშილსაც დიდი ხანია განიცდის ქართველი სოფლის მეურნე. სად ვიშოვოთ ეს მიწა? თავადაზნაურობას დიდი ხანია ჩამოვართვით მათი ლატიფუნდიები, დიდი ხანია რაც ეს მიწები მშრომელ გლეხკაცობას გადაეცა. მიწის კრიზისი მაინც არსებობს, ის მაინც ვერ შევანელეთ და ჩვენს წინაშე იგი დღესაც ისე ისე ძველის სიმწვავითა დგას.

საბჭოთა ხელისუფლებამ ამ დარგში უკვე გააკეთა ის, რის გაკეთებაც კი შესაძლებელი იყო: მან დაიყვანა მინიმუმამდე არა მშრომელი ელემენტების მიწის ნორმა. მან მოახდინა ნიველიროვკა თვით გლეხს შორის: უფრო მდიდარ გლეხებს, სოფლის ჭამია ჩარჩებს, უკვე ჩამოერთვა კანონით დამტკიცებულ ნორმაზე მეტი მიწები და სოფლის ღატაკებს გადაეცა იგი... სხვათა შორის ჩამოერთვა დიდძალი მიწები რუსეთიდან ოდესღაც გადმოსახლებულ გლეხებს, რომლებსაც ნიკოლოზ პირველის დროიდან ჰქონდათ დარიგებული საუკეთესო მიწების უდიდესი ნორმა...

მაგრამ ყოველი ეს ზღვაში მხოლოდ ერთი წვეთი გამოდგა... იმავე დროს ხელისუფლება ენერგიულად შეუდგა სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციის საქმეს. სწარმოებს უდიდესი მუშაობა ჭაობების ამოშრობისა და უდაბური მიწების მორწყვის საქმეზე. სოფელში მრავლად შეიჭრა სასოფლო სამეურნეო მანქანები. ტრაქტორებმა უკვე მოიპოვა ჩვენში მოქალაქეობრივი უფლება. მარტო გორისმაზრაში ჩვენ გვაქვს ოციოდე საუკეთესო სისტემის ტრაქტორი. დღეს სოფლებში ხშირად შეხვდებით სათეს, სამკალსა და სალეწ მანქანებს. ხალხი თანდათან ეჩვევა და გადადის მეურნეობის მაღალ კულტურაზე... მაგრამ ყოველი ეს ვერ გაუწევს გლეხს მიწის მაგიერობას და ქართველი გლეხობის დიდი ნაწილი პირდაპირ კატასტროფიულ მდგომარეობაშია.

როგორ ვუშველოთ საქმეს?

ამაზე მხოლოდ ერთად-ერთი პასუხი გვესმის. ყველა გვეუბნება: ჭაობების ამოშრობა, უდაბური მიწების მორწყვის მოწესრიგება, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, — ესე—იგი ის, რაც ახლა უკვე ჩქარის ტემპით კეთდება,—იხსნის ქვეყანას კრიტიკული მდგომარეობიდანო.

ყოველი ეს მართლაც რომ დიდი საქმეა. მაგრამ ამაზე გადამეტებული იმედების დამყარებაც არვარგა. რა თქმა უნდა: ჭაობების ამოშრობა, მიწების მორწყვის მოწესრიგება, სოფლის მეურნეობაში მანქანების შემოღება, მაღალ კულტურაზე გადასვლა დიდი საქმეა. ეს დიდათ შეუმსუბუქებს გაჭირვებას ჩვენს გლეხებს. მაგრამ ყოველ ამას მხოლოდ დროებითი მნიშვნელობა ექნება. ამით ჩვენ ვერ ავიცილებთ თავიდან მიწით სიმშილს. ვინც ამით მიწის კრიზისის **სამუდამოთ** დაძლევას ფიქრობს, მას ალბათ, ავიწყდება, რომ ხალხი მრავლდება, რომ მას წელიწადში 1 ნახ. პროც. ახალი მჭამელი ემატება, რაც სა-

ქართველოსთვის წლიურად დაახლოებით 40.000 სულს წარმოადგენს...

რა უნდა გავაკეთოთ ისეთი მეურნეობის ინტენსიფიკაციის დარგში, რომ ყოველწლიურად 40 ათასი ახალი მჭამელი ვარჩინოთ?

არის კიდევ ერთი საშუალება, რომელიც დიდათ შეუწყობს ხელს მიწის კრიზისის სიმწვავის განელებას ჩვენში. ეს გადასახლების საქმის მოგვარება. მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ზოგიერთებს გონიათ. საპერსპექტივო გეგმის მიხედვით, საქართველოში ამ გზით უნდა მოეწყოს 440.000 სული, რაც თხოულობს 24—25 მილიონ მანეთს ათი წლის განმავლობაში. ამდენი ხალხის დასასახლებლად მიწაც რომ აღმოვაჩინოთ, ამდენი ფულის შოვნა როგორ უნდა შევძლოთ? მერე ამ ათი წლის განმავლობაში საქართველოს ბუნებრივად უნდა მიემატოს 400.000 სული ახალი მჭამელი. ამას რაღა ვუყოთ? თუ მუდამ გადასახლების გზას დავადგებით, მთვარაზე ან რომელიმე სხვა პლანეტაზე უნდა ვეძებოთ ადგილი, რადგან არც ერთ მეზობელ რესპუბლიკას ბოლოს და ბოლოს არ აღმოაჩნდება იმდენი მიწა, რომ ჩვენ გვირიგოს...

მაშ სად არის ხსნა?

ხსნა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაშია. ხსნა მხოლოდ და მხოლოდ იმ ეკონომიურ პოლიტიკაშია, რომელსაც დღეს საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებს ჩვენში და საერთოდ მთელ საბჭოთა კავშირში.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციაც. ჭაობების დაშრობა. უდაბური ადგილების მორწყვა, მამაპაპეული გუთნის ტრაქტორით შეცვლა, სიმინდის ნაცვლად მაღალ კულტურაზე გადასვლა, მეტი მოსახლეობის გაქარაფება გადასახლების გზით და მით მიწის კრიზისის დროებითი მაინც დაძლევა...

და ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია:

ზაჰესი, რიონჰესი, ქარხნები, ფაბრიკები.

აი ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ხსნის ერთად-ერთი გზა აი რა გზით მიდის დღეს საბჭოთა საქართველო.

მოქ. დევდარიანი კი ჩაფრენია მას კალთებში და ეუბნება:

„მსოფლიო ბაზრისა და ჩვენი წარმოების წესის დღევანდელ პირობებში საქართველოს მთავარ ბუნებრივ სიმდიდრეს ვერ ექნება მიმზიდველი ძალა უცხოეთის კაპიტალისთვის“... ამიტომ თავი გაანებე მრეწველობაზე ოცნებობას, დარჩი ნედლეულის არეთ და ნედლი მასალა უგზავნე სხვა ქვეყნების მრეწველობასო?.

რატომ? რატომ უნდა აიღოს საქართველომ ხელი მრეწველობაზე? რატომ უნდა დარჩეს იგი სხვა ქვეყნების საწველ ფურად?..

ბაზარი არ გვექნება? ეს შემცდარი აზრია. თუ ევროპის კაპიტალისთვის მიუწდომელი იქნება ჩვენი საქონელი, თუ სხვა ქვეყნის ბაზრებზე არ გაგვიშვებენ, საბჭოთა უზარმაზარი კავშირი ხომ ჩვენი ბაზარი იქნება, ისე, როგორც ჩვენი ქვეყანა იქნება ბაზარი საბჭოთა სხვა რესპუბლიკების ნაწარმოებისთვის. მთელი დედამიწის ერთი მეექვსედი ნაწილი, რომელზეც დღეს კომუნისტური დროშა ფრიალებს, არ იქნება საკმაო ბაზარი ჩვენი აბრეშუმის, მატყლის, ღვინის და ათასი სხვა საქონლისთვის? თუ ჩვენ კიდევ არ გავიმეორებთ იმ დამღუპველ ექსპერიმენტს, რომელიც 1918 წელის მოვახდინეთ, თუ ჩვენ კიდევ არ ჩავკეტავთ ფოილოს ხიდსა და დარიალის ვიწროებს, ჩვენ არც ბაზრების ძებნაზე დაგვჭირდება თავის ტეხა.

ესეც არ იყოს, ვინ მოახსენა „საქართველოს ეკონომისტი“-ს ეკონომისტს, რომ თვით ევროპის კაპიტალი ასე ადვილად გაანებებს თავს ჩვენს მარგანეცს, ჩვენს ნევთს და საერთოდ ჩვენი ქვეყნის დიდებას? დღეს იმპერიალისტური სახელმწიფოები ებრძვიან ჩვენს პოლიტიკურ ხაზს, ისინი ცდილობენ წაგვიშალონ ჩვენი სოციალისტური სახე. მაგრამ იმათ ძალიან უყვართ საბჭოთა კავშირის ნევთი, პური და სხვა... ვინ არ იცის, რომ დღეს საბჭოთა ნავთის ირგვლივ უდიდეს კომბინაციებს აწყობენ ინგლისისა და ამერიკის კაპიტალისტები. მართალია, დღეს ჩვენი მრეწველობა კრიზისს განიცდის, მაგრამ ეს კრიზისი მარტო ჩვენი სენი კი არ არის. ასეთსავე კრიზისს განიცდიან ყველა კაპიტალისტური სახელმწიფოებიც...

საქართველოს ნედლეულების არეთ გადაქცევა! ეს ძველის ძველი ამბავია. ამას ჩაგვჩიჩინებდა ყურში თვითმპყრობელობა მთელი ასი წლის განმავლობაში. ამასვე რუსეთის ნაროდნიკების მიბაძვით, გვიმეორებდენ ნალი, ლალი, კაერემენი და ვ. წ.

მოქ. დევდარიანი დღეს, უდიდესი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ხანაში, იმავე ძველის ძველსა და ცხოვრების მიერ სამუდამოთ დასამარებულ აზრს ახალ ამბვათ გვაწვდის. მას ეს უსინათლო აზრი გამოუწყვია ახალ სამოსელში, ახალი თოფ-ზარბაზნებით გაუმაგრებია. ხუმრობა საქმეა: პლეხანოვისა და თვით მარქსის თხზულებებიდან ციტატებით აღუჭურვავს იგი... მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ჭლექიანი და ისტორიის მიერ განწირული აზრი ისეთივე ჭლექიანია, როგორც უწინ იყო. კიდევ მეტიც: ის ისეთ სასაცილო შთაბეჭდილებას ახდენს ამ ახალ იარაღებში, როგორც როლონდის ბედაურზე წამოსკუპებული, როლონდის დიურონდალთა და ოლიფანტით მორთული ყვავის ბახალა.

მოქ. დევდარიანი ტყუილად დამაშვრალა,, მას ტყუილად დაუკარგავს დრო ამ განწირული აზრის რესტავრაციისთვის.

საქართველოს ხსნა ინდუსტრიალიზაციაშია.

ვინც ამას ეწინააღმდეგება, ის ქართველი ხალხის მტერია. ნებსით, თუ უნებლიეთ ეს სულ ერთია!.

**ყარიბი.**

# მომავალი საზოგადოების ახალი ქალი

## I.

## ალტმულერები, მათი ფილოსოფია და „საქმენი საგმირონი“.

ქალთა საკითხი და სქესობრივი ურთიერთობანი მუდამ იყო და დიდხანს დარჩება ერთ უდიდეს პრობლემად, რომლის გადაჭრას ძალუმად მოითხოვს კაცობრიობის სასიცოცხლო ინტერესები.

ძველი საზოგადოების გარდაქმნა ახალ სოციალისტურ საფუძველზე წარმოუდგენელია, თუ მას ოპოზიციაში ჩაუდგა კაცობრიობის მთელი ნახევარი, ზედმეტია რაიმე სერიოზულ კულტურულ რევოლიუციაზე ლაპარაკი, თუ ამ საქმეში აქტიურად არ ჩაერია ქალი და მას ხელი არ მოჰკიდა ჩვეულებრივი გატაცებითა და ენერგიით.

მიუხედავათ ამისა ძნელია მოვნახოთ მეორე ისეთი საკითხი, სადაც იყოს იმდენი წინააღმდეგობა, უკუღმართობა და შეუსაბამობა, რამდენიც არის ქალთა საკითხში და სქესობრივ ურთიერთობაში.

ვინ არის ქალი? ეს არის ჩვენი დედა, რომელმაც ჩვენ ცხრა თვე მუცლით გვატარა, წლების განმავლობაში გვზრდიდა, გვივლიდა, თავს გვევლებოდა.

ვინ არის ქალი? ეს არის ჩვენი სატრფო, რომლის ერთი შეხედვა ხშირად მთელი სიცოცხლე გვიღირს.

ვინ არის ქალი? ეს არის ჩვენი ქალიშვილი—პატარა ბანტიანი გოგონა, რომლის პაწია თითების შეხება და ცაცუნი ჩვენ გვადნობს და უდიდეს სიამოვნებას გვგვრის.

ამნაირად ჩვენ ვიცნობთ ქალთა ამ სამ კატეგორიას, მხოლოდ ესენი არიან ჩვენთვის ძვირფასი, ჩვენ მხოლოდ მათ ინტერესებს ვუწევთ ანგარიშს, მხოლოდ მათ პატიონებას [illegible] და [illegible].

[illegible] დედა ჩვენთვის საგინებელი საგა[illegible] სხვ[illegible]

და ძუ ცოლი ან ნადირია, რომლის დაჭერა საიქადულოთ მოვეაჩნია.

ჩვენში დიდ უმრავლესობას არა სწამს ქალი ადამიანი. **ქალი ამხანაგი**, ამ მხრით ჩვენ ვართ დიდი ბუშმენეში, პატარა ადამიანები და ზერელე სოციალისტები.

ბუნებამ ქალი განსაკუთრებულ პირობებში ჩააყენა, მას დააკისრა დედის უდიდესი და უმძიმესი მოვალეობა. მასცა ნაზი სხეული და მეტად მგრძნობიარე სული. მამა კაცმა ქალი დაიჯაბნა, მან სავსებით გამოიყენა ქალის ფიზიკური და ბიოლოგიური თავისებურებანი და ქალის წინააღმდეგ ბუნებას გვერდში ამოუდგა. ამნაირად შეერთდა ორი დიდი ძალა—ბუნება და მამა კაცი, რომ ქალი განსაკუთრებულ მდგომარეობაში ჩაეყენებიათ და ის კაცობრიობის საერთო ქარავანს ჩამორჩენილიყო.

ბუნებამ ქალი დააჯილდოვა ფიზიკური სისუსტით, ყოველთვიური ჯვარცმით და მშობიარობის ულლით — მამაკაცმა მას სიცილით, ალერსითა და კოცნით მონობის გვირგვინი თავზე დაადგა!

სავსებით ბუნებრივია, რომ ოქტომბრის რევოლიუციამ ამ საკითხში სრულიად ახალი ნაკადი შეიტანა და საუკუნოებით დაკანონებულ და განმტკიცებულ ბორკილებას ქალთა ჩაგვრასა, უთანასწორობასა და გაბიაბრუებას სამკვდრო - სასიცოცხლო ომი გამოუცხადა.

არც ერთს ქვეყანაში დედა მიწაზე, არსად არ მოიპოვება ისეთი კანონები საოჯახო სამრთალში და კერძოთ ქორწინებისა და განქორწინების საკითხში, როგორიც არის საბჭოთა კავშირში.

ქორწინება ძველად კატორღაზე უარესი იყო, დღეს კი იგი არის ჭეშმარიტად ორი სრულუფლებიანი არსების თავისუფალი კავშირი, რომელსაც ახასიათებს თანაბარი უფლებიანი და მოვალეობანი ორივე მხრისათვის. ყოველგვარი ძალდატანება აქ გამორიცხულია. ქალის მდგომარეობა ისეთივეა, როგორიც მამა კაცის. ქონებრივი უფლებები და ალიმენტის საკითხი ისეა მოგვარებული, რომ აქ ნათლად სჩანს უდიდესი სამართლიანობის და ნამდვილი ამხანაგური კავშირისა და ურთიერთობის შუქი.

ასეთია არსებული უფლებრივი მდგომარეობა. მიუხედავათ ამისა ქალთა საკითხი და სქესობრივი ურთიერთობანი შეუძლებელია სავსებით მოწესრიგებულად ჩავთვალოთ.

არაჩვეულებრივ ახალ ნაბიჯებს აქ ებრძვის ათასი წლის ტრადიცია, სიტლანქე და უვიცობა. ამიტომ აქ აქტივისტური ნაბიჯები შესაძლებელია, ძველის შებრძოლება ახალთან აუცილებელია; მხოლოდ ამით აიხსნება ისეთი ახირებული ფაქტები, როგორიც არის ამ დღეებში გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობა „ერთი დღით (თუ ერთი ღამით) ქორწინების“ შესახებ ან ალტშულერის სამარცხვინო ბოროტმოქმედება.

ვინ არის ალტშულერი? რა ჩაიდინა მან? ალტშულერი არის მწერალთა ასოციაციის მდივანი, პოეტი მწერალი, მოწინავე კულტურული ადამიანი, ის ეკუთვნის იმათ რიცხვს, ვინც უნდა მოახდინოს უდიდესი კულტურული რევოლიუცია, შექმნას ახალი მორალი და ახალი ჯერ არ ნახული ურთიერთობანი. და აი იმის ნაცვლად, რომ ის მოგვევლინოს ახალი ადამიანის როლში ახალი სიტყვითა და საქმით—ის სამარცხვინო ბოროტმოქმედებას ჩადის: ძალით აუპატიურებს ისლამოვის ქალს, ქალმა შეურაცყოფა ვერ გადაიტანა და თავი მოიკლა.

ეს სისაძაგლე შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ალტშულერი არ არის რევოლიუციის ნამდვილი შვილი, ის არის უძლებიშვილი რევოლიუციისა, მისი ზედმეტი ბარგი, მასში მაგრად ზის ძველი მამაკაცი, რომელიც თავისთვის ყველაფერს ნებადართულად აღიარებდა, ის ახალსაც ეპატრონება და, ალბათ, ფიქრობს: რაკი თავისუფლებაა, ყველაფერი შეიძლებაო. მან იცის ახალი თეორია „ერთი ჭიქა წყლის“ შესახებ, იცის და ფიქრობს: მონარქია დავამხვეთ, ფეოდალებს წესი აუგეთ, ბურჟუები დავტუქსეთ, „ქალის მოდრეკა“ რა დიდი საქმეაო. და მიდის... იერიშზე!...

აშკარაა, ალტშულერი დიდი გაფრთხილებაა მეშჩანურ სტიქიისა და ბარბაროსობის წინააღმდეგ, იგი აყენებს ჩვენს წინაშე ფრიად დიდ პრობლემას და ამჟღავნებს ზოგიერთ მტკივან ადგილებს.

ალშტური შესაძლებელია იმიტომ, რომ ალტ (ძველი) შულერები, როგორც სჩანს, რევოლიუციას ჯერ კიდევ არ ამოუფხვრია სავსებით ცხოვრების სხვადასხვა დარგში!.

ლეო. შენგელაია.

# საარჩევნო კამპანია საფრანგეთში

1924 წლის მაისში არჩეულმა დეპუტატთა პალატამ უკვე დაასრულა მუშაობა და გამოქვეყნებულია დეკრეტი მისი დათხოვნისა და ახალი **არჩევნების 22-29 აპრილისათვის** დანიშვნის შესახებ. დეპუტატები, უკანასკნელი სესიის შემდეგ, სამი კვირის წინედ, კიდეც გაემგზავრენ. თავიანთ საარჩევნო ოლქებში და შეუდგენ საარჩევნო კამპანიის მომზადებას: ბურჟუაზიული პარლამენტარიზმისათვის დამახასიათებელი ფართო პლატფორმების და პროგრამების პოპულიარიზაციას და საარჩევნო კომბინაციების გეგმების წინასწარ შემუშავებას.

ოთხი წლის წინად არჩეულ და პარლამენტში წარგზავნილ „წარმომადგენლებს“ არჩევნების გამო, ეხლა ძალაუნებურად მოუხდებათ წარსდგენ ამრჩევლების წინაშე და ჩააბარონ ანგარიში, თუ რამდენად შეასრულეს მოცემული დაპირება, საარჩევნო პროგრამის რეალიზაცია, ამ რას ჰპირდებიან მათ მომავალ პარლამენტში.

ამ მხრივ ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან მოქცეული „მემარცხენე ბლოკის“ დეპუტატები, რომელთაც დიდი გამარჯვება ხვდა წილად წარსულ არჩევნებში. მიუხედავად იმისა, რომ „მემარცხენე ბლოკს“ დიდი უმრავლესობა ყავდა პარლამენტში და არაფერი უშლიდა ხელს თავის საარჩევნო პროგრამის განხორციელებაში მათ არა თუ ვერ შეასრულეს ამრჩევლებისათვის მიცემული პაციფისტური დაპირებები, არამედ ისეთ კაპიტულიაციაზე წავიდენ არჩევნებში სასტიკად დამარცხებულ „ნაციონალური ბლოკის“ შავრაზმული ბურჟუაზიის წინაშე, რომ დათანხმდენ ძალაუფლების პუანკარეზე გადაცემის და თვითონ მორჩილებით შეუდგნენ მასთან თანამშრომლობას, მის წინაშე თავისი სამსახურის გაწევას.

საფრანგეთის წვრილბურჟუაზიული დემოკრატია, რომელიც „მემარცხენე ბლოკის“ სახით ხედავდა „ნაციონალური ბლოკის“ და მისი ხელმძღვანელის პუანკარეს რეაქციონური და ავანტიურისტული პოლიტიკისაგან თავის დაღწევის და მძიმე საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების საშუალებას, აქაც გაწბილებული დარჩა. „მემარცხენე ბლოკი“ ვერ შეხვდა გაბედულად მსხვილი კაპიტალის მიერ ბირჟის საშუალებით დაწყებულ ბრძოლას მის წინააღმდეგ. მან ვერ გამოიჩინა უნარი ქვეყნის ფინანსიური გაჯანსაღების რეფორმის ბურჟუაზიის ხარჯზე ჩატარების. მან ვერ მოახერხა გარკვეული კურსის აღება და გატარება საგადასახადო პოლიტიკაში. მან ვერ გაბედა ფრანკის ბირჟის წინააღმდეგ კონტრ-შეტევაზე გადასვლა მსხვილი კაპიტალის დაბეგვრით და ფრანკის სტაბილიზაციის ინიციატივის თავის ხელში აღება, რამაც გამოიწვია ფინანსიური პანიკა და მისი ბუნებრივი შედეგი — მთავრობის ქრონიკული კრიზისი.

მემარცხენე ბლოკის“ ასეთმა გაურკვეველმა და მერყევმა პოზიციამ საგადასახადო და სხვა საშინაო და საგარეო საკითხებში, საშუალება მისცა არჩევნებში დამარცხებულ ფაშისტურ ბურჟუაზიას პარლამენტარულ უმცირესობაში მოეხდინა რესტავრაცია, რომ კვლავ დაბრუნებოდა სახელმწიფოს საჭეს რაიმონდ პუანკარე, რომლის

წინააღმდეგ აქტიურად იყო განწყობილი ამრჩევლების დიდი უმრავლესობა.

„ნაციონალური კონცენტრაციის სახელით მოვლინებულმა პუანკარეს ფაშისტურმა მთავრობამ, რომელსაც გარკვეული დავალებები და პოლიტიკური ხაზი ჰქონდა მიცემული მსხვილი კაპიტალისაგან, მალე მოუღო ბოლო „მემარცხენე ბლოკის" მერყევი პოლიტიკით შექმნილ ფინანსიურ ანარქიას და 13 მილიარდი ფრანკი გადასახადის დაწესებით, რაც სავსებით მშრომელ ელემენტებისაგან იქნა აკრეფილი. შეაჩერა ფრანკის კურსის კატასტროფიული დაცემა.

მალე ორი წელი გადის, რაც პუანკარეს „ნაციონალური მთლიანობის" მთავრობას თავისი დიქტატურის ქვეშ ყავს დაყენებული „მემარცხენე ბლოკის" პარლამენტარული უმრავლესობა, და ისეც ეგუება, ამ მდგომარეობას, თუ გინდ ერთხელაც არ დაურღვევია პარლამენტარული მშვიდობიანობა. არა თუ რადიკალური პარტიის წარმომადგენლებმა, რომლებიც არც ისე შორს არიან ფაშისტური იდეოლოგიისაგან, მოახერხეს „ნაციონალური ბლოკის" ბურჟუაზიასთან ზავის ჩამოგდება, არამედ სოციალისტებმაც, რომლებსაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მიყვება მუშათა კლასის ერთი ნაწილი, იმდენად აიხსნეს ნიღაბი, რომ საჯაროთ გამოვიდენ პარლამენტში შემდეგი განცხადებით: „ჩვენ უნდა მივსცეთ პუანკარეს საშუალება, რომ განაგრძოს თავისი გამოცდილი მოღვაწეობათ".

1924 წ. არჩევნებში გამარჯვებული „მემარცხენე ბლოკი" ასე სამარცხვინო მდგომარეობაში და კაპიტულიაციაქმნილი უნდა წარსდგეს ეხლა თავის ამრჩევლების წინაშე, ეს უხერხული და არახელსაყრელი მდგომარეობა მათ, რა თქმა უნდა, წინასწარ აქვთ გათვალისწინებული და ამიტომ იყო, რომ რადიკალების და სოციალისტების ყრილობებზე წარსული წლის ოქტომბერ-დეკემბერში, არჩევნების საკითხს ეჭირა ცენტრალური ადგილი, საარჩევნო ტაქტის შემუშავების გარშემო სწარმოებდა ყრილობების მთელი მუშაობა. ამ საკითხის გარჩევამ ისე ფართო დისკუსიის ხასიათი მიიღო ორივე პარტიის ყრილობაზე და ისე ფართოდ წამოიჭრა უთანხმოება, რომ გარკვეულად ჩამოყალიბდა ორი მიმდინარეობა. რომელთა შორის შეუძლებელი გახდა შეთანხმება და გამოიწვია ორგანიზაციული განხეთქილებაც. რადიკალებს საბოლოვოდ ჩამოსცილდა ფრანკლენ ბუიონის მემარჯვენე ჯგუფი, რომელიც მოითხოვდა პუანკარესთან საარჩევნო ბლოკში შესვლას და „ნაციონალური მთლიანობის" ლოზუნგით გამოსვლას. სოციალისტურ პარტიასაც ჩამოშორდა, ამჟამად, „დამოუკიდებელ მუშათა პარტიათ" წოდებული მემარცხენე ჯგუფი, რომელიც თავისი საკუთარი პლატფორმით და კანდიდატებით გამოდის არჩევნებში.

მაგრამ, მთლიანად „მემარცხენე ბლოკის" ეხლანდელი საარჩევნო პროგრამა მაინც არ განსხვავდება დიდათ 1924 წ. საარჩევნო პროგრამიდან. საარჩევნო პერიოდში „მემარცხენე ბლოკი". ეხლაც ცდილობს ისევ გაიკეთოს მემარცხენეობის ნიღაბი, ისევე წამოაყენოს წვრილი რანტიეს სურვილებთან შეთანხმებული პაციპისტური ლოზუნგები, როგორიც, მაგალითად: სავალდებულო სოციალური დაზღვევა, გადასახადების შემცირება, საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების გაფართოება და სხვ. ეხლანდელ საარჩევნო ტაქტში მათ მხოლოდ ის კორექტივი შეაქვთ, რომ მემარჯვენე პარტიებთან. საარჩევნო ბრძოლის დროს, უფრო ლოიალურ პოზიციას იჭერდენ, ხოლო კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლას აძლიერებენ. სოციალისტური პარტიის ყრილობაზე, პარტიის ლიდერმა ბლიუმმა გარკვევით განაცხადა: „თავისთავად ცხადია, ჩვენ უარს ვამბობთ კომპარტიის მიერ მოცემულ, წინადადებაზე მთლიანი ფრონტით გამოსვლის შესახებ და მას დაუპირდაპირდებით მომავალ არჩევნებშიო". რენოდელმა კიდევ უფრო გულახდილობა გამოიჩინა და პირდაპირ სთქვა: „ჩვენსა და კომუნისტებს შორის იწარმოებს არა მარტო საარჩევნო. არამედ სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლა"-ო.

„მემარცხენე ბლოკს" თუ მემარცხენე გადახრა ახასიათებს ეხლანდელი საპარლამენტო არჩევნები. „ნაციონალური მთლიანობის" სახელწოდებით წარმოდგენილი ძველი „ნაციონალური ბლოკი", პირიქით, წარსულ არჩევნებთან შედარებით უფრო მემარცხენე პროგრამით აპირებს გამოსვლას. „დემოკრატიული კავშირის" ორგანიზაციამ, რომელიც წარმოადგენს „ნაციონალურ ბლოკის" ხელმძღვანელ ჯგუფს უკანასკნელ ყრილობაზე ოფიციალურად გამოაცხადა თავი სოციალური რეფორმების მომხრედ. პუანკარემ, რომელმაც თავიდანვე შეიტანა მთავრობაში თავისი ანტისაბჭოთა ტენდენცია და თავგამოდებით იცავდა მას სულ უკანასკნელ დრომდე, ვრანგელის მიერ გატაცებულ ნაციონალიზაციაქმნილ გემებზე, საბჭოთა ხელისუფლებისაგან წარდგენილ სარჩელზე უარის თქმით და ნიუ-იორკში გაგზავნილ საბჭოთა ოქროზე პრეტენზიის გამოცხადებით, ამჟამად (ვდიილობს წვრილ ბურჟუაზიულ ამრჩევლები, „ბრიანის ხაზის" წამოყენებით საგარეო პოლიტიკაში, დაარწმუნოს წინააღმდეგში — საბჭოთა კავშირთან ურთი-ერთობის გაფართოვების სურვილებში.

კომუნისტების წინააღმდეგ საარჩევნო ბრძოლაში „მემარცხენე ბლოკთან" ერთად შეთანხმებულად გამოდის „ნაციონალური მთლიანობის" ბლოკიც, რომელიც უკვე შეუდგა კიდეც პუანკარეს ხელმძღვანელობით მთავრობის ხაზით საჭირო რეპრესიების ჩატარებას. დაპატიმრებულ კომდეპუტატებს, რაც წარმოადგენს კონსტიტუციის უხეშ დარღვევას, არა თუ არ ანთავისუფლებენ არჩევნების პერიოდში, ამრჩევლებისათვის ანგარიშის ჩასაბარებლად, არამედ ეხლა ასამართლებენ მათ. — მარტის, დიუკლეს და სხვ. უკვე მიუსაჯეს 11 წლის ციხე.

როგორც სჩანს, პუანკარე, საარჩევნო კამპანიაშიც გამოიყენებს კომუნისტების წინააღმდეგ იმ სუსტ იარაღს, რითაც დაემუქრა ამხ. მარტის პარლამენტში დეკემბრის სესიაზე; „თქვენ ვერ მიიღებთ მონაწილეობას იმ ბრძოლაში, რომელსაც აწყობთ „რესპუბლიკის" წინააღმდეგო", მაგრამ ასეთი იარაღით, ტერორით და რეპრესიებით ვერ აიცილებს საფრანგეთის ფაშისტური რეაქცია მომავალ ბრძოლებს მუშათა კლასთან. კომპარტია გაბედული ხვდება მის წინააღმდეგ გაერთიანებული ფრონტით დაწყებულ საარჩევნო ბრძოლას. თუ რამდენად ძლიერია მისი პოზიცია და გავლენა მუშათა მასებში, ცხადი შეიქნა საარჩევნო კამპანიის დაწყებისთანავე. მონლიუსეში სოციალისტების მიერ მოწვეულ საარჩევნო მიტინგზე, სადაც რენოდელი უნდა გამოსულიყო, მუშების ობსტრუქციის გამო იძულებული გახდა უარი ეთქვა გამოსვლაზე და პოლიციის საშუალებით დაემალათ იგი. ასეთივე მოვლენას ჰქონდა ადგილი რადიკალების იმერ ფურმში მოწვეულ საარჩევნო კრებაზე, სადაც რადიკალების წარმომადგენლმა ლუშერმა ვერ მოახერხა გამოსვლა და კრება გადაიქცა კომპარტიის მიტინგათ.

მიუხედავად იმისა, რომ კომპარტიის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტით გამოდის გაერთიანებული ბურჟუაზიის და რეფორმისტების ბლოკი, რომ მის წინააღმდეგ ასეთი ადმინისტრატიული ტერორი და რეპრესიებია მიღებული, მაინც ვერ მოახერხებენ კომპარტიისათვის ტრიბუნის წართმევას პარლამენტში, ვერ აიცილებენ მის გაბედულ და რევოლიუციონურ გამოსვლებს მუშათა კლასის დასაცავად ბურჟუაზიის შემოტევისაკენ და მისი რევოლიუციონური ბრძოლების სახელმძღვანელოდ.

კ. ჭეიშვილი.

# ჩვენი მრეწველობის 5-წლიანი გეგმისათვის

## IV.

**ხე-ტყის მრეწველობა** არის უდიდესი და ფართო პერსპექტივების მქონე დარგი. მას აქვს საკუთარი ნედლეულის ბაზე და უზრუნველყოფილი ბაზარი ნაწარმოების გასაღებისა. მართალია, ამ უკანასკნელ ხანებში ამა თუ იმ რაიონის შესახებ გაისმის ნედლეული არა გვყოფნისო, მაგრამ ეს უფრო ჩვენი ტყეების შეუსწავლელობის შედეგია, ვიდრე მასალის სიმცირისა. ამ შემცდარი შთაბეჭდილების შექმნას ხელს უწყობს ჩვენს ტყეებში მისასვლელი გზების მოუწყობლობა და ის გარემოება, რომ საექსპლოატაციოთ უფრო ხელმისაწდომი ტყეები, რომლებიც უფრო ვაკე ადგილებში მდებარეობს, უკვე გაჩეხილია.

არსებითად კი ხის რესურსები საქართველოში ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია და წარმოუდგენელია ჩვენი ტყეების შედარებით ხანმოკლე ექსპლოატაციის დროს იმდენი გამოგვეტანოს, რომ ხის მაგარის ნაკლებობაზე შეიძლებოდეს ლაპარაკი.

დღემდი წლიური გამოსავალი ჩვენი ტყეებისა, რომელთა სივრცე 2,300,000 დესეტინას უდრის, ითვლებოდა არა ნაკლებ 16—19 მილ. კუბიკ-ფუტისა, საშენი მასალა და 7 მილ. კუბ-ფუტი შეშისა. ამოდენამასალა არც ერთს წელიწადს არ გამოგვიტანია ჩვენი ტყეებიდან, ს. მ. უ. ს. ხე-ტყის მრეწველობის ტრესტს, რომელიც აერთიანებს ამ დარგში თითქმის მთელ მსხვილ მრეწველობას, გამოაქვს წლიურად დაახლოებით—6—7 მილ. კუბი-ფუტი.

მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ რაიონებში მტაცებლური ექსპლოატაციის მეოხებით დიდათ დაზარალდა ტყეები, მაგრამ ეს უკვე წარსულს ჩაბარდა. დღეს ტყეები საკმაოდ დაცულია და ამ სიმდიდრით დიდ ხანს შეგვეძლება ვისარგებლოთ. საჭიროა მხოლოდ ახლავე შეუდგეთ ჩვენი ტყის მეურნეობის ჯეროვნად მოწყობას და გათვალისწინებული გვქონდეს, სად, რამდენი და რა ღირსების მასალა გვაქვს. უნდა იქნეს შემუშავებული ექსპლოატაციის მტკიცე გეგმა და მიღებულ იქნეს ზომები ტყეების გასაახლებლად. ეს რა თქმა უნდა მოითხოვს ხარჯებს, მაგრამ დახარჯვას ადვილად ავინაზღაურებთ. უნდა ვისარგებლოთ კავშირში აღებული კურსით, რომელიც მოწადინებულია ფართოდ დააყენოს ტყის მრეწველობის საქმე როგორც შინაური ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ისე ექსპორტისათვის და ხელს უწყობს ახალ სარეწაოთა მოწყობას. აუცილებელ საჭიროდ მიგვაჩნია, **დღესვე დაისვას საკითხი ხე-ტყის ტრანსპორტის მოწყობის შესახებ.** უნდა შევუდგეთ მექანიკურ გზების გაყვანას, ჩამოსაშვები ღარების და სხვა ასეთების მოწყობას. ჩვენი მრეწველობის პრაქტიკიდან ვიცით, რომ ამ საქმის მოგვარება ერთი ასად აიაფებს ხის ჩამოტანას და მით პროდუქციასაც. ამას ამოწმებს კავშირის დაკვირვებაც. სრულიად საკავშირო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე კუიბიშევი აღნიშნავს: „მარტოოდენ ტყის დამზადების მექანიზაცია იძლევა სატყეო მრეწველობის განვითარების უდიდეს შესაძლებლობას, მით უმეტეს, რომ ამისათვის არც ისეთი დიდი ფულის გაღებაა საჭირო და მოგებას კი დაუყოვნებლივ გვაძლევს. მეორე წელიწადს უკვე განაღდებულია მექანიზაციაზე გაწეული ხარჯებიო“. **„ტყის მრეწველობის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთო“**, ამბობს იგივე კუიბიშევი (იხ. „ტორგ.-პრ. გაზეტა“ № 287, 1927 წ.).

თუ ეს შეხედულება სწორია მთელი კავშირისათვის, კიდევ უფრო მართალი იქნება ეს ჩვენი ქვეყნისათვის, სადაც მთელი ტერიტორიის მესამედი უკავია ტყეებს. მით უმეტეს, მისაღებია ეს აზრი, რომ ჩვენებური ტყეები მდიდარია ძვირფასი ჯიშის ხეებით, რომელთა გამოყენება შეიძლება კავშირის შიგნითაც და ექსპორტისთვისაც.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მიმართულებით უკვე აღებული კურსი საკმაო სისწორით ტარდება. ჩვენ უკვე გავცილდით იმ ხანას, როცა ჩვენი ტყეები მარტო საშენ მასალას და შეშას გვაძლევდა. საქართველოს ტრესტი და ავტონომიური რესპუბლიკების წარმოებებიც უკვე შეუდგენ უფრო ძვირფასი ფაბრიკატების გამოშვებას და დღეს ჩვენი მუშაობა იძლევა ფანერას, ხვეულ ავეჯს, დანიის ტკეჩს და სხვ. დღის წესრიგშია დასმული ახლა უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა, **ხის მასალის ქიმიურად გადამუშავება.** დამუშავებულია ქაღალდის ქარხნის გეგმა, მუშავდება ხის მშრალად გადამუშავების ქარხნის საკითხი და სხვ. ყველა ამათ უნდა დაეთმოს ადგილი ხუთწლიან გეგმაში, მათი განხორციელება გადაუდებელ საქმეთ უნდა იქნეს ცნობილი და მაშინ შეგვეძლება ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყნის ერთი სიმდიდრეთაგანი უკვე გამოყენებული გვაქვს.

**საფეიქრო მრეწველობას,** განსაკუთრებით აბრეშუმისა და მატყლის ქსოვილების საქმეს ჩვენში მკვიდრი ნიადაგი აქვს და მათი საკმაოდ ფართედ დაყენება არ არის ძნელი.

**აბრეშუმის მოსავალით** ჩვენი ქვეყანა ძველადაც ცნობილი იყო. ომის წინ იგი უდრიდა 130,000 ფუთს წლიურად, ხოლო კიდევ უფრო ადრე, დაახლოებით მეცხრამეტე საუკუნის 50—60 წლებში 350—400 ათას ფუთამდე ადიოდა. ომის დროს და მის მომყოლ წლებში ეს დარგი საგრძნობლად შესუსტდა და 1923 წელს მოსავალი 95.000 ფუთამდე დავიდა. შემდეგ იწყება აღდგენის ხანა და 1926 წელს აბრეშუმის მოსავალმა გადააჭარბა ომის წინა ხანას. წლის მოსავალი უდრიდა — 160,000 ფუთს. შემდეგი წლის ნაკლები მოსავალი გამოწვეული იყო უამინდობით და სხვა ობიექტიური პირობებით. საქმე კი მკვიდრ ნიადაგზეა დაყენებული. მიღებულია ყველა ზომები, როგორც თუთის ხის პლანტაციებისა და ცალკე ნაშენობის გავრცელებისა, ისე აბრეშუმის მოვლა-მოშენების საქმეში რაციონალიზაციის შეტანისა და აბრეშუმის კულტურის ახალ რაიონებში გავრცელებისათვის. ამ საქმეს ხელმძღვანელობს საქართველოს აბრეშუმის ტრესტი, რომლის ხელშიაც თავმოყრილია, როგორც აგრონომიული, ისე სამრეწველო დარგები. ძველი კურსი—მარტო ნედლეულის გატანით დაკმაყოფილება. უკვე მიტოვებულია. მიმდინარე წლიდან ტრესტი პარკად თითქმის არაფერს გაიტანს. ჩვენი ძაფის ამომხვევი და სართავი ფაბრიკები საშუალებას გვაძლევს, რომ მთელი მოსავალი ძაფად გადამუშავებული გავიტანოთ საქართველოდან. საქსოვი ფაბრიკის მუშაობაც საიმედო ნიშნების მაჩვენებელი გამოდგა. ჩვენი აბრეშუმის ქსოვილი კარგი ხარისხის გამოდგა და ახლა მორიგ ამოცანად არის დასმული ამ მაღალ საფეხურზე გადასვლა; **მთელი პარკი ჩვენში უნდა დამუშავდეს საბოლოოდ** და ბაზარზე გავა მხოლოდ **ქსოვილების სახით.** ამ მიმართულებამ უნდა იპოვოს თავისი განხორციელება მომავალ გეგმაში.

**მატყლის ქსოვილების წარმოებას** უკვე მკვიდრი ნიადაგი აქვს ჩაყრილი ქუთაისის მაუდის უკვე ამუშავებული და თბილისის ახლო მომავალში დასრულების მომლოდინე ქარხნების სახით. ეს ორი ქარხანა და ტყავტრესტის ხელში მყოფი თექის ქარხანა წლიურად 40—80.000 ფუთ მატყლს გადაამუშავებენ. ნედლეულის მხრით მათი ბაზა მტკიცეა. ჩვენში მეცხვარეობა საკმაოთ გავრცელებულია. მატყლის მოსავალი წლიურად 160—200 ათას ფუთს უდრის და, თუმცა პირველი ხარისხის არ არის, მაგრამ არც მდარეა და უბრალო შალისა და მაუდის ქსოვილებისათვის სავსებით გამოსადეგარია. უფრო მაღალი ღირსების ქსოვილების გამოსაყვანად გვჭირდება წმინდა მატყლის შემოტანა შესარევად, მაგრამ ეს დროებითი ხასიათის მოვლენად უნდა ჩაითვალოს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი მიწადმოქმედების

ორგანოების მხრით მიღებული ზომები მალე გააუმჯობესებს როგორც ცხვრის ჯიშს, ისე მატყლის ხარისხსაც და მაშინ სრულიად საკუთარ ფეხზე დადგება მრეწველობის ეს დარგი.

ვერ ვიტყვით, რომ ქუთაისის ფაბრიკის ნაწარმოები სავსებით დამაკმაყოფილებელი იყოს, თუმცა ბაზარი მას სიამოვნებით იღებს და საჭიროა გეგმაში მიექცეს ყურადღება ქსოვილების გაუმჯობესებას. მრეწველობის ამ დარგის მიზნათ იგივე უნდა იქნეს მიღებული, რაც აბრეშუმის შესახებ ვთქვით. მთელი ჩვენი ნედლეული აქვე უნდა დამუშავდეს ფაბრიკატად.

ამ დარგთან დაკავშირებით უნდა მოვიხსენიოთ ერთი ფრიად საყურადღებო საკითხი, რომელსაც ახლო მომავალში დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ეკონომიკისათვის. ზევით ჩვენ არაფერი გვითქვამს ბამბის ქსოვილებზე ან ჩითეულისა და ნარმის შესახებ, რადგან ჩვენი აზრით, ბამბის საქმეს არა აქვს დიდი პერსპექტივები საქართველოში, აქ უფრო მაღალი კულტურის მცენარეები იკიდებს ფეხს და არც დიდათ საჭიროდ მიგვაჩნია ამ საქმის გამოკიდება. მაგრამ მეორე მხრით მკვლევარნი აღნიშნავენ, რომ საქართველოში ადვილად მოშენდება ბევრი ისეთი მცენარე, რომელიც გამოდგება საფეიქრო საქმისათვის. ინჟენერი ვ. ფხალაძე აღნიშნავს, რომ „საქართველოში არსებულ 22 ბოჭკოვან მცენარეთაგან მხოლოდ 2 მუშავდება. სახელდობრ, ბამბა და კენაფი; დანარჩენებს კი ჯერ არ აქვთ წარმოებითი ხასიათი, თუმცა ზოგი მათგანი, როგორც მაგალითად, რამი ანუ ჩინეთის ჭინჭარი, ახალი ზელანდიის სელი, ქენდირი და სხვა არ ჩამოუვარდება მათ არც თვისებით და არც შემოსავლიანობით (იხ. „საქ. ეკონომ.“ № 1, 1928 წ.). თვით ეს მცენარეები კი, დავსძენთ ჩვენ, ბევრად უფრო უპრეტენზიოთ და ადვილი მოსაშენებელია, ვიდრე მაგალითად, ბამბა.

საჭიროა ამ საკითხის შესწავლას მიექცეს ყურადღება და შეიქნეს ისეთი ორგანო, რომელიც ამ საქმეს შეუდგება. ასეთი დაწესებულებათა დაარსება და კითხვების გაშუქება კავშირის ცენტრალურ ორგანოებს სასარგებლოდ და სასურველად მიაჩნიათ და ჩვენმა გეგმამაც უნდა შეითვისოს ეს აზრი და დაუთმოს ადგილი ტეხნიკურ მცენარეთა სამეცნიერო კვლევა-ძიების საქმეს.

**ნ. ელიავა.**

# პოლიტიკური შენიშვნები

საფრანგეთმა კვლავ განაახლა ანტი-საბჭოთა კამპანია. ის არ უშვებს არც ერთ შემთხვევას მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს გულში სასიკვდილო მახვილის ჩასაცემად; ის ეძებს მიზეზს საბჭოთა კავშირის მთავრობის გასაღიზიანებლად. ეძებს მას, რაც არასოდეს არ დაკარგვია; ამის დამამტკიცებელია ამერიკაში გაგზავნილ საბჭოთა ოქროს გარშემო ატეხილი დავა; რომელიც ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

როგორც ვიცით, საფრანგეთის ელჩმა ვაშინგტონში კლოდელმა წარუდგინა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს ნოტა, რომელშიაც ის აყენებდა საფრანგეთის პრეტენზიებს საბჭოთა ოქროზე. საფრანგეთის პრეტენზიები საბჭოთა ოქროზე სრულიად უსაფუძვლოდ იქნა ცნობილი, მაგრამ საფრანგეთი მაინც უპოტინებს ხელებს საბჭოთა ოქროს. და ყოველნაირად ცდილობს დავის თავის სასარგებლოდ გამორკვევას. მიზეზი, საფუძველი ამ ძიების? არავითარი გარდა პარიზის უსაზღვრო მადისა, რომლის დასაკმაყოფილებლად მას სურს მიითვისოს საბჭოთა ოქრო. ამ საკითხის ერთხელ და სამუდამოდ გამოსარკვევად საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა საფრანგეთში ამხ. **დოვგალევსკიმ** საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს 7 აპრილს კიდევ გადასცა ახალი ნოტა, რომელშიაც გადაჭრით მოითხოვს ამ დავის გამო 24 მარტს, გაგზავნილ ნოტაზე პასუხს, მაგრამ საფრანგეთის მთავრობა ჯერ-ჯერობით სდუმს და პასუხის მიცემასაც არ ნებულობს. ან რა უნდა სთქვას, როცა არაფერი აქვს სათქმელი.

აღსანიშნავია აგრეთვე საფრანგეთის უზენაეს სასამართლოს განაჩენი, რომელიც უარყოფს საბჭოთა კავშირის რაციონალიზაციის კანონიერებას, და ამით ის ეწინააღმდეგება საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას. საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთ შორის ასეთ გამწვავებულ მდგომარეობით ცდილობს ისარგებლოს ინგლისმა. ამ მიზნით ინგლისი იძულებულია დროებით დაადგეს საფრანგეთთან დათმობის გზას. ის ყველაფერს დასთმობს ოღონდ შესძლოს საფრანგეთთან ეს ანტი-საბჭოთა ბლოკის დაარსება. მიუხედავად საფრანგეთის ასეთი ბნელი ზრახვებისა, საფრანგეთის ბურჟუაზიულ პარტიის ბელადს ცნობილ ბურეს ჰყოფნის გამბედაობა გაზეთ „პტიტ ჟირონდში“ განაცხადოს: „საბჭოთა კავშირი იმპერიალისტურია და ამზადებს ნიადაგს კაპიტალისტურ ქვეყნების გასანადგურებლად და განსაკუთრებით მას მიზანში ყავს ამოღებული საფრანგეთი და ინგლისი“. დიახ. არ ცდებიან საფრანგეთისა და ინგლისის ბურჟუები—საბჭოთა კავშირს მართლაც სურს კაპიტალისტურ მსოფლიოს განადგურება და მის ნანგრევებზე შრომის სამეფოს დამყარება. საბჭოთა კავშირის ასეთ სურვილს სავსებით იზიარებს ინგლის-საფრანგეთის მუშათა კლასი. ამას კარგად გრძნობენ განსაკუთრებით საფრანგეთის იმპერიალისტები და მიტომ არის რომ მათ კვლავ განაახლეს ანტი-საბჭოთა კამპანია.

—:—

მაგრამ ინგლისი არ კმაყოფილდება მარტო საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ბლოკის დაარსებით. მისი იმპერიალისტური მიზნები დღითი-დღე ფართოვდება, ამის დამამტკიცებელია ის „სამაგალითო“ ხელშეკრულება, რომელიც ინგლისმა ამ დღეებში დასდო ტრანსიორდანიასთან. ხელშეკრულების ერთ მუხლში აღიარებულია ამ პატარა კუთხის „დამოუკიდებლობა“, მაგრამ შემდეგის პირობებით: ინგლისმა ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ტრანსიორდანიის საგარეო პოლიტიკას. სახელმწიფოში უნდა იქნეს აგრეთვე ინგლისის ჯარები, რომელსაც ინახავს ტრანსიორდანია თავის ხარჯით. სახელმწიფოს ფინანსიური საქმეც ინგლისელების ხელში უნდა იყოს“. აი როგორ ესმით ამ კულტუროსან ერის წარმომადგენელთ სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და ერთა თვითგამორკვევა. ასეთივე ხელშეკრულების დადება სურს ინგლისს ეგვიპტესთან და ირაქთან. მაგრამ ეგვიპტეს ხალხი გადაჭრით მოითხოვს თავის მთავრობიდან არ მოაწეროს ხელი ისეთ ხელშეკრულებას, რომელიც ინგლისის მონების ისეთივე უღელს დაადებს ეგვიპტეს, როგორიც დაადვა 1922 წელს დადებულმა ხელშეკრულებამ.

ეგვიპტეს ხალხის აღშფოთებას და ინგლისისადმი სიძულვილს საზღვარი არა აქვს. ეგვიპტეს პრემიერი მუსტაფა-ნახაესი აღშფოთებულ ხალხის დასამშვიდებლად იძულებული იყო ოფიციალურად განეცხადებია პარლამენტში, რომ „ეგვიპტეს მთავრობა მუდამ დაიცავს ეგვიპტეს ხალხის უფლებებს და საარსებო ინტერესებსო“. ცხადია, ეგვიპტეში გაბატონებული ინგლისი ასე ადვილად ვერ შეურიგდება დამონებულ ხალხის მართალ ხმას. ამიტომ არის რომ ის მეტად ნერვიულობს და ემუქრება ეგვიპტეს, მაგრამ ვეჭვობთ, რომ ინგლისმა შესძლოს თავისი მუქარის განხორციელება იმ დროს, როცა აღმოსავლეთის ქვეყნებში ასე ძლიერდება ინგლისის საწინააღმდეგო მოძრაობა.

—:—

თუ ევროპის სახელმწიფოების იმპერიალისტები ასე მტრულად არიან განწყობილი საბჭოთა კავშირისადმი, სამაგიეროთ ევროპის საქმიანი წრეები კარგად გრძნობენ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განმტკიცებას. ამ მხრივ აღსანიშნავია ჩ. ა. შეერთებულ შტატების სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. საბჭოთა ოქროს გარშემო ატეხილი დავის ერთად-ერთი მიზანი იყო ხელი შეეშალათ ამერიკა-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობისათვის, მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ ფინანსთა მინისტრმა უარი განაცხადა საბჭოთა ოქროს მიღებაზე, ამ მოვლენას მაინც ოდნავათაც არ მოუხდენია გავლენა სავაჭრო წრეებზე. პირიქით, კომერციულმა წრეებმა უფრო გააძლიერეს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობა. მიღებული ცნობის თანახმად უკანასკნელ თვეებში საბჭოთა კავშირმა ჩ. ა. შეერთებულ შტატებში შეიძინა მრეწველობის საჭიროებისათვის 2.284.000 დოლარის საქონელი,რომლის საფასურში გადახდილია მხოლოდ მთელი თანხის 23 პროცენტი, დანარჩენ თანხას უყოყმანოდ ენდვენ საბჭოთა კავშირს ამერიკის ფირმები. ამ გარემოებას დღეს ვეღარც ამერიკის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე სმიტი ფარავს, რომელმაც პრესის წარმომადგენლებს ოფიციალურად განუცხადა: „საქმიანი წრეები ყველგან დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცების საქმეში“. სმიტის ასეთ განცხადებას პრესაც დადებითად გამოეხმაურა.

—:—

გასულ კვირაში ევროპის სახელმწიფოების ბურჟუაზიულ და იმპერიალისტურ წრეების ნერვიულობა აიხსნება აგრეთვე მუშათა მოძრაობის გაძლიერებით. ხელფასის გარშემო დაწყებული ბრძოლა გრძელდება. მუშები არ თმობენ, მწარმოებლები ლოკაუტით ემუქრებიან. ჰამბურგის რაიონის მელითონეებმა უარყვეს რეფორმისტულ სამედიატორო სასამართლოს განაჩენი ხელფასის შესახებ და გამოაცხადეს გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს 10.000 კაცი. გაფიცვები გამოაცხადეს აგრეთვე სტოკჰოლმის ქაღალდის ქარხნების მუშებმა, რომლებიც მოითხოვენ ხელფასის გადიდებას და სამუშაო დროს შემცირებას. დიდ აქტივობას იჩენენ აგრეთვე საფრანგეთის მუშები საარჩევნო ბრძოლაში, რომელსაც მეთაურობს საფრანგეთის კომპარტია, რომელმაც შემდეგი მოწოდებით მიმართა მუშებს: „უნდა შეიქმნეს მთლიანი ფრონტი არა მარტო არჩევნების ჩასატარებლად, არამედ საარსებო მოთხოვნილებათა დასაცავად. მუშათა გაერთიანებულმა ფრონტმა უნდა იბრძოლოს მუშურ-გლეხურ მთავრობის დასაარსებლად“.

—:—

რაც შეეხება ჩინეთის რევოლიუციას, მას დიდი ხანია რაც სულთათანა უგალობეს, დიდი ხანია რაც იმპერიალისტური სახელმწიფოები სიკვდილს უქადის ჩინეთის 400 მილიონიან ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას, ამ მიზნით, ინგლის-საფრანგეთი ჩინეთის საზღვრებზე და თავიანთ კონვენციების ტერიტორიაზე აძლიერებენ სამხედრო ძალებს და ელიან მოხერხებულ დროს აშკარად შეებრძოლონ ჩინეთის რევოლიუციის ტალღებს, მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩინეთის რევოლიუცია მაინც თავის ლოღიკით ვითარდება და ღრმავდება. კანტონში მომხდარ ამბების შემდეგ, დაიწყო სრულიად ახალი ხანა, ჩინეთის რევოლიუციაში. რევოლიუციონური რაზმები თანდათან ძლიერდებიან, იკრებენ ახალ ძალებს; კვლავ განაგრძობენ თავგანწირულ ბრძოლას სხვადასხვა რეაქციონურ ჯგუფების წინააღმდეგ. ამის დამამტკიცებელია უკანასკნელად მოსული ცნობები, რომლის თანახმად, წითლებმა გუანდუნის პროვინციაში აიღეს მთელი რიგი ქალაქ-სოფლების და უახლოვდებიან მეტად სტრატეგიულ პუნქტს—სვატოუს. რევოლიუციონური რაზმების ახალმა გამარჯვებებმა კვლავ საგონებელში ჩააგდო ჩინეთის ბურჟუაზია და ყველა რეაქციონური ძალები. ამათ კარგად იციან, რომ შანხაი, ნანკინი და ხანკოუ არის ჩინეთის გული, ამისათვის თავზარდაცემული ჩინეთის რეაქცია ამ ქალაქებში ამაგრებს პოზიციებს, და ყოველგვარ ზომებს ღებულობს . ამ მთავარ ქალაქებში ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრას კომუნისტური ბუდე. მაგრამ რამდენათ უსაზღვროა ამ რეაქციონურ ძალთა რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ. იმდენად კიდევ უფრო ძლიერდება კომუნისტური გავლენა ჩინეთის ხალხის ფართო მასებში. ამის დამამტკიცებელია უკანასკნელ ხანებში გლეხთა მასების გამოსვლები მემამულეების წინააღმდეგ. გლეხები გადაჭრით უარს აცხადებენ ღალების მიცემაზე. ამ ფაქტს დღეს ვეღარც ჩინეთის ბურჟუაზიული პრესა მალავს; რომელიც შიშითა და უიმედო კილოთი აღნიშნავს გლეხთა შორის რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერებას და კომუნისტურ ზეგავლენის განმტკიცებას. ძნელი სათქმელია, როგორი ფურცელი გადაიშლება ხვალ ჩინეთის რევოლიუციის ისტორიაში, მაგრამ ის კი აშკარად დამტკიცდა, ჩინეთის რევოლიუციის მძლავრ ტალღებს ვერავითარი ძალა ვეღარ შეაჩერებს.

**უპარტიო.**

# რას ამბობენ ფაქტები

## პასუხი კ. კანდელაკს

## IV

### ვ) მრეწველობის და შრომის საკითხები.

კ. კანდელაკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შრომის და ხელფასის საკითხებს. ჩვენ ამ წერილში გვინდა შევჩერდეთ მუშის ხელფასის და საერთოდ მისი ეკონომიური მდგომარეობის დახასიათებაზე.

თავდაპირველად საჭიროთ მიგვაჩნია მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ერთ გარემოებაზე: კ. კანდელაკი ყველგან ცდილობს მის განკარგულებაში მყოფ მასალებიდან შეარჩიოს ისეთი ცნობები, რომელნიც უარყოფით მოვლენებს ახასიათებენ, საილიუსტრაციოთ მოგვყავს შემდეგი მაგალითი: საგეგმო კომისიის წიგნში 131 გვერდზე სწერია: „რეალური მნიშვნელობის მუშის ხელფასი უფრო ნაკლებ იზრდება, სასოფლო - სამეურნეო საგნების გაძვირების გამო, ვიდრე ნორმალური“. აქ ავტორი ეხება 1925 წლის მარტის ხელფასს შედარებით 1924 წლის ივნისის ხელფასთან. ამავე წიგნის 132 გვერდზე ივლის - ოქტომბრის ხელფასის იანვარ-მარტის ხელფასთან შედარების დროს სწერია: „მუშის ნომინალური ხელფასი 15.3 პროც.-ით გაიზარდა. რეალური უფრო მეტათ (21.6 პროც.-ით) საზრდოების საგნებზე ფასების დაკლების გამო“. ასე, რომ ყოფილა შემთხვევები, როდესაც რეალური ხელფასი იზრდება უფრო მეტად, ვიდრე ნომინალური. კ. კანდელაკს მოყავს ამონაწერი ხსენებული წიგნის 131 გვერდიდან, სადაც ლაპარაკია რეალური ხელფასის ზრდის ჩამორჩენაზე და სრულაიდ გვვერდს უვლის ისეთს შემთხვევას, როდესაც რეალური ხელფასის ზრდა წინ უსწრებს ნომინალურ ხელფასის ზრდას, გამოდის, რომ თითქოს რეალური ხელფასი მუდამ ჩამორჩებოდეს ნომინალურ ხელფასის ზრდას. (შეიძლება კ. კანდელაკი ფიქრობს, რომ თუ საბჭ. სტატისტიკა უარყოფით მოვლენას აღრიცხავს მართალი იქნება, ხოლო თუ დადებითი მოვლენა აღნიშნა — ეს არ იქნება მართალი).

კ. კანდელაკი უშვებს რამოდენიმე შეცდომებს; 1. მისი წიგნის მე-9 გვერდზე ვკითხულობთ, რომ მუშის ხელფასი უდრის 46,32 ჩერვონულ მანეთს, იმ დროს, როდესაც ერთი ოჯახის შესანახავად მინიმალური თანხა უდრის 59. მ. 65 კაპ. და ფაქტიური ბიუჯეტი 69 მ. 32 კაპ. „საბ-

ქოთა სტატისსტიკოსების გამოანგარიშებით“-ო. „ასეთი ნაპრალი არსებობს მუშის ხელფასსა და რეალურ საჭიროებათა შორის“-ო. მართლაც 25 წლის თებერვლის მუშის ბიუჯეტის გამოკვლევის მიხედვით მუშის ბიუჯეტი უდრის 69 მან. მაგრამ ეს შეეხება თბილისის მუშას, ხოლო ხელფასი 46 მან. 67 კაპ. შეეხება არა თბილისის მუშას, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მუშების ხელფასს, მიღებულს დიფერენციალური გამოკვლევით (გამოკვლეული იყო მხოლოდ 47 დაწესებ.) კოწია კანდელაკის ციფრი 46 მან. ძალიან მოწონებია და სწერს თითქოს ეს იყოს ხელფასი მთელ წარმოება - დაწესებულებაში ჩაბმულ მუშა-ხელისა (116.614 მუშა-ხელი; შედის მოსამსახურენიც), 1925 წლის თებერვლის მუშის საბიუჯეტო გამოკვლევის მიხედვით მუშის საშუალო ხელფასი უდრის არა 46 მან. 67 კაპ., არამედ 56 — 76 კაპ.

2. მეორე მარცხი კ. კანდელაკს მოუვიდა, როდესაც ის ჭიათურის მუშის ხელფასს ახასიათებს და მის დინამიკას ადარებს ინგლისის ქვა-ნახშირი მუშების ხელფასის დინამიკას. აი რაშია აქმე: კ. კანდელაკი ღებულობს ომის წინა დროიდან მგრეველის (მაღალი კვალიფიკაცია) ხელფასს — (1 მ. 70 კ. დღეში, კვირაში 10 მ. 20 კ.) და ადარებს 24-25 წლის ჭიათურის მუშის ყველა პროფესიებს (მგრეველი, მენიჩრე, გამზიდველი, მწმენდავი) საშუალო ხელფასს; ასეთი შედარების წარმოება ყოვლად შეუძლებელია.

აი როგორია სტატისტიკური ციფრები — შესადარებელი ხასიათისა თვიური რეალური ხელფასი ინგლისსა და საქართველოში (ინგლისისათვის აღებულია ქვა-ნახშირის მრეწველობა, ხოლო საქართველოსათვის მარგანეცის მრეწველობა).

| წ ლ ე ბ ი | ინგლისში %%-ში | საქართველოში | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| | | აბს. | %%-ში | |
| 1914 | 100,0 | 31—41 | 100,0 | |
| 1926 ოქტ. | 84,4 | 35—34 | 112,5 | |
| 1927 წ. დეკ. | — | 38—87 | 123,7 | |

ცნობები საქართველოს მარგანეცის მრეწველობაში ხელფასის შესახებ აღებულია წიგნიდან: Статистика марганцевого дела за 1913 г. (ხელფასი 1913 და 1914 წელში იყო ერთი და იგივე).

ჩვენ ავიღეთ ომის წინა დროის ხელფასათ 31-40 კაპ. შემდეგი ანგარიშით. ხსენებულ წიგნში 41 გვერდზე სწერია: „წლიური ხელფასი ერთი მუშისა კატეგორიის მიხედვით გამოიხატება:

1. მგრეველთათვის—442 მ.
2. მენიჩბეთათვის—390 მ.
3. მზიდველთათვის—364 მ.
4. მწმენდავი—312 მ.

მაშასადამე თვიური ხელფასი უნდა გამოიყვანოს შემდეგნაირად: (442+390+364+312 მ.) = 1508 მ. : 12:4 -31—41 კ..

ძველად მუშების ოთხივე კატეგორია ერთნაირი პროპორციით იყო წარმოდგენილი, მაგ. ავტორი სწერს: „ოთხ მუშის გამომუშავება დღეში უდრის 260 ფ. ხელფაით 5—80 კ. (1—70 კ.+1—50 კ.+1—40 კ.+120 კ.)

საშუალო დღიური ხელფასი 1925 წ. და შემდეგ წლებისათვის ჩვენ მიერ მოცემულია თბილისის საბიუჯეტო მანეთებში. (საქ. შრომის სტატისტიკის ბიუროს მასალებით) ინგლისის შესახებ ცნობები აღებულია. **М. Смит. „Динамика кризисов и положение пролетариата„ изд. 1927 г.**

რას ვხედავთ მოყვანილ ცნობებიდან?

1926 წლის ოქტომბერში ინგლისის ქვა-ნახშირის მრეწველობის მუშის თვიური ხელფასი ჩამორჩება ომის წინა დროის დონეს 15,6 პროც-ით, ხოლო ჭიათურის მუშის თვიური ხელფასი მატულობს ომის წინა დროსთან შედარებით 12,5 პროც-ით. 1927 წელში საქართველოში გადაჭარბებულია ომის წინა დროის დონე 23,7 პროც-ით. ასეთ სურათს იძლევა სინამდვილე, კ. კანდელაკი კი დასკვნის: „თუმცა ცხოვრება ინგლისში გაძვირებულია, იქაური მუშა თავის სამუშაო ხელფასით დაახლოვებით ისე იკმაყოფილებს თავის მსოთხოვნილებებს, როგორც ომის წინა დროს იკმაყოფილებდა ჩვენებური მუშაკი, თუმც ომის წინა თვითმპყრობელობის დუხჭირ პირობებში ცხოვრობდა და დღეს „მუშათა და გლეხთა “სახელმწიფოში, სასმუშაო ხელფასით ეხლა გაცილებით ნაკლებ არის უზრუნველყოფილი, ვინემ ომის წინ იყო“. ასეთი დასკვნები გამოყავს კ. კანდელაკს **შემცდარი შედარების წყალობით.**

რამდენათ სინამდვილეს დაშორებულია კ. კანდელაკის დასკვნები მუშის მდგომარეობის შესახებ, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ არა მარტო ჭიათურის მაგალითზე, არამედ საქართველოს სამრეწველო პროლეტარიატის მდგომარეობის განხილვიდანაც. განვიხილოთ მუშის საშუალო ხელფასის დონე საქართველოში შედარებით ევროპის ქვეყნებთან.

მუშის ხელფასის დონე საქართველოში, ინგლისში და გერმანიაში.
(% %-ში)

| წ ლ ე ბ ი | საქართვ. | ინგლისში | გერმან. | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1914 | 100,0 | 100,0 | 100,0 | |
| 1925 დეკ. | 99,5 | 97,0 | 91,4 | |
| 1926 „ | 102,1 | 99,2 | 89,8 | |
| 1927 „ | 110,7 | — | — | |

საქართველოს მრეწველობაში აღებულია 7 მთავარი დარგი (1) მინერალების ამოღება და დამუშავება, 2) ლითონის დამუშავება, 3) ხის დამუშავება, 4) გემო-კვების საგანთა დამუშავება, 5) ცხოველურ წარმოშობის ნივთ. დამუშ, 6) პოლიგრაფიული და 7) ელექტრო სადგურები). საქართველოს შრომის სტატისტიკის ბიუროს მასალების მიხედვით; ინგლისის და გერმანიის შესახებ ცნობები ამოღებულია. **М. Смит: „Динамика кризисов и положение пролетариата“.** ინგლისის შესახებ აღებულია თორმეტი მთავარი დარგი, ხოლო გერმანიისათვის 6 დარგი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საბიუჯეტო ინდექსი გვაქვს კერძო ბაზრის ფასების მიხედვით და არა შეწონილი ინდექსით (კოოპერატიული ბაზრის მონაწილეობა რომელსაც თითქმის 40 პროც. ხვედრითი წონა აქვს) და მიუხედავად იმისა, რომ ხელფასზე ზედ-ნადები ხარჯები (არ არის ნაანგარიშევი) ჩვენში 20 პროც.-ს აღემატება. — მრეწველობაში რეალური ხელფასი საქართველოში იზრდება უფრო ძლიერი ტემპით ვინემ ინგლისში ან გერმანიაში და 1926 წელში ჩვენში უკვე სჭარბობს ომის წინა დროის დონეს 2,1 პროც-ით, ამავე წელში ინგლისში 0,8 პროც. ხოლო გერმანიაში 10,2 პროც-ით ჩამორჩენილია ხელფასი ომის წინა დროის დონეს. ჩვენში ხელფასის ზრდა მიდის თუ არა ძლიერი ტემპით? საქართველომ ამ მხრივ ხომ უკან ჩამოიტოვა ინგლისიც კი რომელსაც ადარებს კ. კანდელაკი ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას. თუ როგორია **ცენზიან მრეწველობაში მთლიანად** მუშის ხელფასის ზრდის ტემპი საქართველოში, შედარებით ამიერ-

კავკასიის სხვა რესპუბლიკებთან, გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი (ნომინალური ხელფასი)

| | 25/26 წ. | 26/27 წ. | 26/27 წ. %%-ში 25/26 წ. |
|---|---|---|---|
| საქართველო . . . | 60—73 | 63—68 | 104,9 |
| მ. შ. ახალი ფაბრიკა-ქარხნ. გამოკლებით . . . . | 60—70 | 65—50 | 107,8 |
| აზერბეიჯანი . . . | 66—33 | 73—63 | 111,0 |
| სომხეთი . . . . . | 41—79 | 42—54 | 101,8 |

საქართველოს შესახებ ცნობები აღებულია საქ. შრომის სტატისტიკის ბიუროს მასალებიდან, ხოლო ადერბეიჯანის და სომხეთის შესახებ ა/კ. ცენტრ. სტატსამართველოს 27 წ. გამოცემიდან (Народное хозяйство Закавказья).

ჩვენ ნაჩვენები გვაქვს ცალკე ახალი ფაბრიკების გამოკლებით, რომელნიც 26-27 წელში გაიხსნა და რომელნიც დაბალ კვალიფიციურ მუშებით მუშაობენ. (ბორჯომის საკასრე ქარხანა, მარელისის გრეხილ - ავეჯეულობის ქ-ნა, აბრეშუმის ფ-ბი). **რეალური ხელფაფსის დინემიკა** ცენზიან მრეწველობაში ახალი ფაბრიკა-ქარხნების გამოკლებით:

| წლები | ხელფასი | |
|---|---|---|
| | აბს. | %%-ში |
| 24—25 წ. | 20—43 | 100,0 |
| 25—26 წ. | 24—41 | 118,9 |
| 26 – 27 წ. | 25 — 32 | 123,9 |

ხელფასის ზრდის ტემპი ჩვენში ძლიერია ვინემ სომხეთში და ჩამორჩება ადერბეიჯანს (იქ შედის ისეთი მძლავრი წარმოება, როგორიც არის ნავთის მრეწველობა), საქართველოში რეალური ხელფასი 26 — 27 წელში იზრდება 23,9 პრო-ით შედარებით 24 - 25 წელთან. საშუალო ხელფასის ზრდა ხდება არა მარტო იმის გამო, რომ სატარიფო განაკვეთის 1 ხარისხი იზრდება წლიდან წლამდე, არა მარტო კიდევ იმის გამო, რომ შრომის ნაყოფიერება თანდათან მატულობს, არამედ იმ გარემოების გამოც, რომ დაბალი კვალიფიკაციის მუშები ჩამორჩენილი ხელფასით თანდათან გადადის მაღალ თანრიგში.

მუშების დანაწილება ხელფასის სიდიდის მიხედვით %% მუშების საერთო რიცხვთან: (საქ. შრომის სტატისტიკის ბიუროს ცნობები)

| წლები | 50 მ-დე | 50-100 მ. | 100 მ. ზევით. |
|---|---|---|---|
| 1925 წ. მარტი . . . . . . . . | 53,7 | 48,6 | 2,7 |
| 1926 წ. „ . . . . . . . . | 37,1 | 49,9 | 13,0 |
| 1927 წ. „ . . . . . . . . | 16,5 | 68,3 | 15,2 |

აქ ჩვენ ვხედავთ, რომ წლიდან წლამდე ჩვენი მუშა დაბლიდან გადადის მაღალ ხელფასზე; თუ 25 წლის მარტში 50 მ.-მდე ხელფასიანი მუშები შეადგენდა 53,7 პროც-ს ე. ი. ნახევარზე მეტს, 27 წელში შეადგენს მხოლოდ 16,5 პროც., ხოლო საშუალო და მაღალი მატულობს. ჯგუფი 50—100 მ.-დე 48,6 პროც-დან ადის 68,3 პროც.-მდე, 100 მანეთს ზევით მიმღები მუშების რაოდენობა იზრდება 2,7 პროც.-დან 15,2 პროც.-მდე. აქ ხდება ჩამორჩენილი ხელფასის წინ წაწევა. შედარებითი რაოდენობა დაბალი ხელფასის მუშებისა თანდათან მცირდება, ხოლო საშუალო და მაღალი საგრძნობლად მატულობს.

ზევით ჩვენ ხელფასის ზრდის ერთ მიზეზათ ვასახელებდით შრომის ნაყოფიერებას; უნდა ითქვას, რომ ჩვენში შრომის ნაყოფიერება და ხელფასი პირდაპირ—პროპორციონალურ დამოკიდებულებაშია, შრომის ნაყოფიერების შეუჩერებელ ზრდის პირობებში ზედმეტი პროდუქტის და ხელფასის შორის არის დაცული ჰარმონიული მოძრავი წონასწორობა.

მოგვყავს ცნობები შრომის ნაყოფირების და ხელფასის ზრდის შესახებ. (საქ. სახ. მ. უ. საბჭოს სტატ-განყოფილ. მასალიბიდან)

| | 25/26 წ. | | 26/27 წ. | | 26/27 წ. %% 25/26 წ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გამომუშ. 1 კაც. დღეში (ომ წ. დღ. მან) | დღიური ხელ-ფასი ჩერვონ. მან. | გამომუშ. 1 კაც. დღეში (ომის წ. დ. მან.) | დღიური ხელ-ფასი ჩერვ. მან. | გამომუშ. | ხელფასი |
| დამუშავებითი მრეწველობა . . . . . . (ს ს. მ. უ. ს. გამგებ. მყოფ. ს.-მრეწ. დაწ. 12 დარგი) . . . . | 10-41 | 2-44 | 11-31 | 2-62 | 108,6 | 107,4 |
| მ შ. თამბაქოს მრეწველობა . . . . . | 11-8 | 2-27 | 14-4 | 2-64 | 122,0 | 116,3 |

საერთოდ დამუშავებითი მრეწველობაში (12 დარგი) 1926-27 წელში შრომის ნაყოფიერება შედარებით 25-26 წელთან იზრდება 8,6 პროც.-ით, პარალელურად იზრდება ხელფასიც (7,4 პროც.). აქ ჰარმონიული წონასწორობა დაცულია, შრომის ნაყოფიერების ტემპის სასარგებლოდ, რაც სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს სოციალისტური დაგროვების თვალსაზრისით. თამბაქოს მრეწველობაში, რომელიც 43,2 პროც.-ს შეადგენს მთელი თორმეტი დარგებისას პროდუქციის მიხედვით, გამომუშავება ერთ კაცდღეში იზრდება 22 პროც, ხელფასი კი 16,3 პროც.-ით.

კოწია კანდელაკი იხილავს 1926 წლის თბილისის მუშის ბიუჯეტს (მუშის ბიუჯეტის გამოკვლევის მასალებით 1926 წ. თებერვალში), ადარებს ჩვენი მუშის ხარჯებს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ხარჯებს და დაასკვნის: „ხარჯების პროცენტულად განაწილებაში ჩვენებურ და ევროპიულ მუშათა ბიუჯეტებში მაინც და მაინც არ არის განსხვავება, გარდა **კვებისა**, რომელზედაც ჩვენებური მუშა ხარჯავს ძალიან ცოტას“—შემდეგ ის აცხადებს, რომ მუშა თავის მცირე ხარჯებსაც ვერიკმაყოფილებს ხელფასითო „წინეთ როგორც ვიცით, ამ დანაკლის იგი ავსებდა უმთავრესად შინაური საგნების გაყიდვით. ახლა კი, როცა ეს საგნები გამოილია ალბად... შიმშილითო“

გავსინჯოთ ციფრები!

ჩვენ შევეხებით ტფილისის მუშის ბიუჯეტს სამი გამოკვლევის მასალებით (1925 წ. მე-II, 1926 წ.მე-II და 1926 წ. მე-XI).

(სათანადო ცხრილი იხილე მე-14 გვერდზე).

რას ვხედავთ აქ ჩვენ? კვებაზე ხარჯი თანდათან მატულობს; მაგ. 26 წ. თებერვალში შედარებით 25 წლის თებერვალთან მუშის ოჯახის ხარჯი კვებაზე გაიზარდა 17,4 პროც-ით, ხოლო 26 წლის XI-ში 22,7 პროც.-ით; ტანსაცმელზე ხარჯი გაიზარდა 62,6 პრო.-ით, კულტურულ-საზოგადოებრივი ხარჯები—55 პროც-ით, მეორეს მხრივ ჩვენ ვხედავთ, რომ ხვედრითი წონა კვებაზე გაწეულ ხარჯებისა საერთო ხარჯებში თანდათან კლებულობს: 25 წ. თებერვალში კვებაზე ხარჯები შეადგენდა 52 პრო.-ს, 26 წ. თებერვალში 48,7 პროც.-ს, ხოლო 26 წ. ნოემბერში 48,3 პროც.-ს; ამავე დროს მატულობს ხვედრითი წონა ტანსაცმელზე და კულტურულ განათლების

ტფილისის მუშის გასავალი საშუალოთ ოჯახზე (ჩერ. მან.) (საქართველოს შრომის სტატისტიკის ბიუროს მასალებთან)

| ხარჯები | 1-ლ მეურნეობაზე | | | %%-ში ჯამთან | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1925 წ. II | 1926 წ. II | 1926 წ. XI | 1925 წ. II | 1926 წ. II | 1926 წ. XI |
| 1. კვება . . . . . . . . . . . . . . . . . | 39,14 | 45,96 | 48,01 | 52,0 | 48,7 | 48,3 |
| 2. ბინა, სათბობი და გასანათ. მასალა. . . . . | 10,77 | 11,49 | 12,40 | 14·3 | 12,2 | 12,5 |
| 3. ტანისამოსი და ტუალეტი . . . . . . . . | 9,75 | 16,27 | 15,85 | 13,0 | 17,2 | 16,0 |
| 4. მაგარი სასმელები, თამბაქო და პაპირ . . . | 3,73 | 5,22 | 5,82 | 5,0 | 5,5 | 5,8 |
| 5. საოჯახო ნივთები, მოწყობ. . . . . . . . | 2,51 | 2,96 | 2,22 | 3,3 | 3,1 | 2,2 |
| 6. ჰიგიენა და მკურნალობა . . . . . . . . | 1,10 | 1,48 | 1,37 | 1,4 | 1,6 | 1,3 |
| 7. კულტ.-განმ. და საზოგ. პოლ. ხარჯ. . . . . | 4,31 | 4,89 | 6,68 | 5,7 | 5,2 | 6,7 |
| 8. ხარჯები თავის სამ. მეურნეობაზე . . . . . | 0,06 | 0,42 | 0,19 | 0,1 | 0,4 | 0,2 |
| 9. დანარჩენი ხარჯები . . . . . . . . . . . | 3,82 | 5,80 | 6,83 | 5,1 | 6,1 | 6,9 |
| სულ გასავალი . . . | 75,19 | 94,49 | 99,37 | 100,0 | 100,0 | 100,0 |

ხარჯები, პირველისათვის 13 პროც.-დან ადის 16 პროც.-მდე, ხოლო მეორისათვის 5,7 პროც.-დან 6,7 პროც.-მდე მატულობს აგრეთვე ხვედრითი წონა დანარჩენ ხარჯებზე: 5,1 პროც.-დან ადის 6,9 პროც.-მდე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ თუ მუშის მატერიალური მდგომარეობა უარესდებოდეს, იმ შემთხვევაში მუშის ბიუჯეტში კვებაზე ხარჯების ხვედრითი წონა კი არ უნდა მცირდებოდეს. მუშას ეძლევა საშუალება თანდათან გააუმჯობესოს კვება(ხომ მეტს ხარჯავს წინა პერიოდთან შედარებით),ხოლო იმავე დროს დანარჩენი საჭიროებანი უფრო ფართოთ დაიკმაყოფილოს (კულ. საზოგად., ტანსაცმელის და სხვა).

შეიძლება კვებაზე ხარჯის ზრდა იმით იყოს გამოწვეული, რომ კვების საგნები თანდათან ძვირდებოდეს? ვნახოთ ციფრები: საბიუჯეტო შენაწყობის ღირებულება კვების საგნებზე როგორი იყო მოხსენებულ სამ დატაში:

(საქ. შრომის სტატისტიკის ბიუროს ცნობებით)

| | ღირებ. აბს. | %%-ში |
|---|---|---|
| 1925 წ. II | 13—76 | 100,0 |
| 26 წ. II | 13—99 | 101,6 |
| 26 წ. XI | 13—41 | 97,4 |

აქ კვების საგნების ღირებულებას ემჩნევა კლება და არა ტება; 26 წ. II გვაქვს უმნიშვნელო მატება 1,6 % ით, ხოლო XI კიდევაც კლებულობს 2,6 %-ით.

იმის დასამტკიცებლათ, რომ მუშების კვება თანდათან უმჯობესდება მოგვყავს ცნობები სხვადასხვა დროს კვების გამოკვლევის მასალებიდან: ავიღოთ ორი შესადარებელი დატა—1925 წ. და 1926 წ. (ორივე წლის მაისი) და განვიხილოთ მთავარი სანოვაგის ხარჯი ტფილისის მუშათა ოჯახში.

თბლისის მუშათა ოჯახების კვება (საქ. ცენტრ. სტ. სამმართველოს ცნობებით). დღიური მოხმარება სანოვაგისა ერთ სულზე (გირვანქებში).

| | 1925 წ. V | 1926 წ. V | 26 წ. %%-ში 25 წელთან |
|---|---|---|---|
| 1. თეთრი პური . . . | 0,992 | 1,155 | 116,4 |
| 2. წითელი „ . . . | 0,321 | 0,368 | 114,6 |
| 3. შავი „ . . . | 0,213 | — | — |
| 4. ლობიო . . . . | 0,080 | 0,060 | 75,0 |
| 5 შაქარი . . . . | 0,075 | 0,104 | 138,7 |
| 6. ხორცი და ხორც. ნაწ. | 0,140 | 0,181 | 129,3 |
| 7. კარაქი . . . . | 0,005 | 0,009 | 180,0 |
| 8. ზეთი . . . . | 0,009 | 0,009 | 100,0 |
| 9. კვერცხი . . . . | 0,024 | 0,044 | 138,3 |

თეთრი პურის ხარჯი მატულობს 16 პროც.-ით, ხოლო წითელის 14,6 პროც.-ით, შავი პურის მოხმარება სრულებით ისპობა. შაქრის ხარჯი მატულობს 38,7 პროც.-თ, ხორცის ხარჯი 29,3 პროც.-ით, კარაქის 80 პროც.-ით, კვერცხის 83,3პროც., ლობიოს ხარჯი კლებულობს 25 პროც.-ით, ხოლო ზეთის ხარჯი არ იცვლება.

მიგვითითებს თუ არა ეს იმ გარემოებაზე, რომ მუშების კვება ერთი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა? მუშა გადადის წითელ პურის მოხმარებიდან თეთრი პურის ხარჯვაზე, ლობიო და სხვა მცენარეული სანოვაგიდან ხორცის, კარაქის და კვერცხის ხარჯზე, იზრდება შაქრის ხარჯიც დიდი პროც.-ით. უფრო საინტერესოა ცნობები 1 მოზრდილ მჭამელზე შეთვისებულ მაწივარ ნივთიერებათა რაოდენობის და კალორიების შესახებ.

ცხოველურ ნაწარმთა პროცენტი მოხმარებულ სანოვაგის საერთო რაოდენობასთან (საქ. ცენტ. სტატსამმართველოს ცნობებით).

| | | |
|---|---|---|
| სულ მოხმარებ. კალორი . . . . . . . . | 2856 | 3,105 |
| ცხოველურ ნაწარმთა კალორი %%-ში მთელთან . . . . . . . . . . . . | 17,8 | 18,7 |
| სულ მომხ. ცილა . . . . . . . . . . . | 103,9 | 112,1 |
| ცხოველურ ნაწარმთა ცილა %%-ში მთელთან . . . . . . . . . . | 34,1 | 40,0 |
| სულ მომხმ. ცხიმი . . . . . . . . . . | 42,9 | 50,6 |
| ცხოველურ ნაწარმთა ცხიმი %%-ში . . | 81,6 | 82,4 |

რომალური კვება მოითხოვს დაახლოებით 33—35 პრო. ცხოველური წარმოშობის ცილისების ნივთიერებას. 26 წელში უკვე ნორმალურზე ბევრად უკეთესი კვებაა (40 პროც.). გამოხატავს თუ არა ეს გარემოება მუშის მატერიალურ მდგოარეობის გაუმჯობესებას? კ. კანდელაკის განცხადებას ჩვენი მუშის სიმშილის შესახებ მხოლოდ სიცილი შეუძლია გამოიწვიოს. ის სწერს: „ისიც და მისი ოჯახის წევრნიც იძულებული არიან ზედმეტი იმუშაონ. ასეთ პირობებში სამუშაო დროს რეგლამენტაცია, რასაკვირველია, ყოველივე აზრს მოკლებულია და სრულებით არ გამოხატავენ საქმის ნამდვილ ვითარებას. რვა საათის სამუშაო დღე საბჭოთა კავშირში, როგორც ბევრი სხვა რამე, სამწუხაროდ ცარიელი ფიქცია არის“-ო.

აი ციფრები: საშუალო ხანგრძლიობა სამუშაო დღი-სა საქ. ფაბრიკა-ქარხნებში ზედმეტი სამუშაოს ჩათვლით.

| წლები | საათები | %%-ში |
|---|---|---|
| 25/26 წ. . . . | 7,41 | 100,0 |
| 26/27 წ. . . . | 7,39 | 99,7 |

25—26 წელში დღეში მოდის ერთ მუშაზე ზედმეტ სამუშაოების ჩათვლით 7,41 საათი, ხოლო 26—27 წ. 7,39 საათი.

როგორც ვხედავთ 8 საათის სამუშაო დღე ფიქ-ცია კი არა—რეალური მოვლენაა.

„ამნაირად „მუშათა და გლეხთა“ მთავრობის სახე-ლით დამკვიდრდა საბჭოთა კავშირში შრომის უდიდესი ექსპლოატაცია“-ო, სწერს კ. კანდელაკი.

რამდენად ასეთი დასკვნა დაშორებულია ჩვენი ცხოვრების სინამდვილისაგან აშკარა უნდა იყოს ყველა-სათვის, ვინც ჩვენი ცხოვრების ვითარებას გაეცნობა და მიუდგომლად დააფასებს არსებულ მდგომარეობას.

ჩვენ შევეცადეთ გადაგვეშალა ამ სინამდვილის სურა-თი უტყუარი ფაქტების და ციფრების საშუალებით და ამის შემდეგ ურწმუნო თომებიც კი უნდა დარწმუნდენ იმაში, ჩვენში არსებობს მუშათა და გლეხთა ინტერესე-ბის გამომხატველი მთავრობა და შრომის ექსპლოატაციას რასაკვირველია, ადგილი არ აქვს.

**ვლ. პაპავა**

# ჩემი სააღდგომო მილოცვა

## (ყველას: მრუდსა თუ მართალს)

დღეს კვლავ თავს ვიგონებ ათას ცხრაას ხუთში,
როცა მღვდლებს მოუსპეს საკურთხი და დრამა,
ვინ არ იცის, რომ მღვდლებს ფულიც ჰქონდათ ყუთში,
არ აკლდათ ქელეხი და ტაბლების ჭამა.
მახსოვს: ბებიაჩემს ერთ აღდგომა-დილით.
საწყალ ბაბუაზე ჰქონდა საწირავი:
არაყი და ღვინო—ბოთლიით, ღომიც—ქილით,
ერთი „კოჭის პასკა“ და შემწვარი კრავი.
მე, როგორც ბავშს, პასკა რაღაც კერპად მრწამდა,
ზედ რომ კიაფობდა შაქრის ხოშკაკალი,
განა, ვიფიქრებდი იმას სხვა შესჭამდა,
ჩემთვის კი ერქმოდა—„გული მოგიკალი“?!...
არც ბატკნის ჩიჩიას ვუმზერდი გულგრილად,
მისი შებრაწული კანჭი გულში მესო,
რა ვიცოდი, თუ მას სხვა შესჭამდა ტკბილად,
მე კი დამრჩებოდა „მოგვამადლე, იესო“?!....
წითელი კვერცხებიც, ღომს თავზე რომ ეწყო,
თვალწინ მიბრწყინავდენ, როგორც ცეცხლის ჩიტი,
იქვე, ტაბლის გამოც, პირში მედგა ნერწყვი
და რამდენჯერ ნდომით ენაც წავიკვნიტე...
მაგრამ ბებიაჩემს მაინც ვედექ გვერდში,
ვით ერთგული მცველი ყოველივე ამის,
გვარის სიამაყე, ვით ფხა, მედგა ფერდში
და იმედიც—გულში—გემრიელი ჭამის!...
ვფიქრობდი, ბაბუა, სადაც არის, მოვა,
მომიტეხს ამ ტაბლას, ვით იცოდა უწინ,
და გაჰქრება ჩემშიც იდუმალი გლოვა,
ბაბუას ლოდინით რომ მესვენა გულში!...
მაგრამ, ვაი, იმ დღეს, ვაი იმ დღის მომსწრეს!...
ეცბათ... მოდის მღვდელი, ვისი მნათით წინა
რაღაც სიტყვებს წიგნში კბილი მიჰკრეს, მოჰკრეს,
და ხურჯინიც მნათემ სულ გაიძიძგინა...
თავი უკრა პასკას, მიაყოლა კრავი,
ღვინოსაც, არაყსაც უჩინა ალაგი,
ქილასაც ხურჯინში შეუქცია თავი,
წითელი კვერცხებიც იქვე ჩაალაგა...
ამ ამბავის შემსწრე, მე ვიდექი განზე,
გავიბლუცე მწუხრალად, როგორც გაჯოხილი,
ღომი ჭიანჭველებათ მეხვეოდა ტანზე,
პირში ტყემლად მიჩნდა ჩვენი პასკა, ტკბილი!...
და წითელ კვერცხებზე ლალი მოგონება
ისე ამოძრავდა, გახდა ისე ცქვიტი.
რომ დასტოვა ჩემში მძიმე დაღონება,
თვით კი გაჰქრა, როგორც გაფრენილი ჩიტი!...
მე ისევ ბებია შემრჩა ბურტყლად ხელში,
სულ გამოჩერჩეტდა და დაჰკარგა ჭკუა:
ნოყიერი საზრდო მღვდელს ჩაუგდო ხელში,
მე—არც ტკბილი ტაბლა და აღარც ბაბუა!...
და ამიტომ, როცა ათას ცხრაას ხუთში
ხალხმა დაჰგმო მღვდლები და მოუსპო დრამა,
მეც ამ მოძრაობას არ ვდგომი ვარ კუდში.
ვჭექდი: „ძირს ხუცები და ტაბლების ჭამა!“...
ახლა, როცა საყდრებს დააქუცეს ჯვრები,
როცა საცეცხლური ღმერთს გუნდრუკს არ უკმევს,
არ ვიცი, შემწვარი ბატკნები და ცხვრები
კვლავ თუ მისდის ხუცესს და უმრავლებს ლუკმებს?!..
თუმცა სადმე ბრიყვი იქნებ იყვეს კიდევ;
ჰქონდეს სააღდგომოთ ხუცისათვის პასკა;
აი, აქ კი ვყვირი მეც, ბრაზს, რომ ვერ ვიტევ:
„ეჰ, ხუცესს რას ერჩი? შენ ასეთ ბრიყვს დაჰკა!“...

**ნ. ზომლეთელი.**

# უყაირათობისა და დაუდევრობის ერთი ნიმუში

იმ დიდ აღმშენებლობას, რომელიც საბჭოთა რესპუ-ბლიკებში მიმდინარეობს, არ არის მოულოდნელი რომ თან ახლდეს ზოგიერთი ნაკლულოვანებებიც, მით უმე-ტეს, ქვეყნის ახალ საფუძვლებზე მოწყობის დროს, რო-დესაც ამისათვის ჩვენ არ გვაქვს საკმაო გამოცდილება, არ გვყავს შესაფერისად მომზადებული კადრი სპეცია-ლისტებისა და თვით კვალიფიციური მუშებისაც. მაგრამ ეს იმას სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მშრომელთა ოფლით მონავარი კაპეიკები რომელიმე ორგანიზაციამ უთავბოლოდ და უსარგებლოდ ჩაიჩანაგოს და გაფლან-გოს.

ყოველგვარ დაუდევრობის და უყაირათობის წინა-აღმდეგ საბრძოლველად საბჭოთა რესპუბლიკებში მო-წოდებულია მუშათა და გლეხთა ინსპექცია. ამ ორგანოს ფხიზელი თვალი სწრაფად აღწევს ყველა ბნელ კუნჭუ-ლებში და გახურებული შანთით ებრძვის ყოველგვარ დაუდევრობას და ბოროტმოქმედებას. ამ მუშაობაში მუშათა და გლეხთა ინსპექციას ეხმარება საბჭოთა პრე-საც. ჩვენი გაზეთების ფურცლებზე მკითხველი ძალიან ხშირად შეხვდება ცნობებს ასეთი ბოროტების გამომ-ჟღავნებისას და თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭო-თა ხელისუფლების სიმტკიცესა და სიძლიერეს დიდათ უწყობს ხელს ის ფაქტი, რომ მას არ ეშინია დეფექტე-ბის გამომჟღავნება, ნაკლულოვანებების აღნუსხვა, რო-გორც ამას ადგილი აქვს ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში საბჭოთა ხელისუფლება მთლიანად ეყრდნობა შინაურ რესურსებს და მშრომელთა აქტივობას. ბურჟუაზიული ქვეყნები, რომლებიც ყოველ გზაჯვარედინზე ცდილო-ბენ მშრომელთა რესპუბლიკების განადგურებას, ჩვენი აღმშენებლობისათვის სესხს არ მოგვცემენ, პირიქით, ხელს უშლიან საბჭოთა რესპუბლიკებში გაჩაღებულ აღ-მშენებლობას. ამის მაგალითები უამრავია, რომლის და-სახელებას ჩვენ არ შევუდგებით.

ასეთ პირობებში ერთად-ერთ გამოსავალ წერტილად შეიძლება ჩაითვალოს ის ღონისძიებები, რომელსაც ხელისუფლება მიმართავს მშენებლობისათვის თანხების გადიდების საქმეში. ასეთებია: მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელება, სამეურნეო და ადმინისტრატიულ ხარჯების შემცირება, გეგმიანი მუშაობა, შრომის ნაყოფიერების გადიდება და მრავალი სხვა, რაც ყველა ერთად აღებული მოგვცემს საკმაოდ დიდ ეფექტს და შესაძლებლობას ქვეყნის აღმშენებლობის კიდევ უფრო გაძლიერებისათვის.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყოველგვარ ახალ კამპანიას ჩვენ პირველ ხანებში ვეგებებით დიდი აღფრთოვანებით, ვიღებთ ზომებს მის განსახორციელებლად, მაგრამ გავა თუ არა რამოდენიმე დრო, ეს აღფრთოვანება და ხალისი თანდათან წელდება და ბოლოს სულ დავიწყებას ეძლევა. ასე იყო მაგალითად, როდესაც ხელისუფლებამ გამოაცხადა მომჭირნეობის რეჟიმი და მოუწოდა ყველა წარმოება-დაწესებულებებს მტკიცედ გაეტარებიათ ის ცხოვრებაში.

თქმა არ უნდა, რომ ამ კამპანიამ უსათუოდ დიდი ნაყოფი გამოიღო, მაგრამ მისგან კიდევ უფრო მეტის მიღება შეიძლებოდა. მით უმეტეს, რომ მომჭირნეობის რეჟიმის გატარება არ არის რამოდენიმე დღეებისა თუ თვეების საქმე, ამ რეჟიმის არსებობა ძალიან დიდხანს არის საჭირო. თვითეული დაწესებულება და წარმოება, ან და ახალი წამოწყებანი ყოველთვის მტკიცედ უნდა ატარებდეს ცხოვრებაში მომჭირნეობის რეჟიმს და არც ერთი გროში არ უნდა იქნას დახარჯული უთავბოლოდ, უყაირათოდ.

ასრულებენ თუ არა ყველა ორგანიზაციები ასეთ მოვალეობას? სამწუხაროდ არა. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს გაზეთებში გამოქვეყნებული საქართველოს სახკინმრეწვის მუშაობის გამოკვლევა, რომელიც მოუხდენია მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

რა გამოირკვა ამ გამოკვლევიდან?

სრული ქაოსი სახკინმრეწვის მუშაობაში და ამის შედეგად რამოდენიმე ასეული ათასი მანეთის ზარალი. გამოქვეყნებულ მასალების მიხედვით, 1926 წლის 1-ლ ოქტომბრიდან მიმდინარე წლის პირველ იანვრამდე სახკინმრეწვს უზარალია 160 ათასი მანეთი, ამაში არ შედის ის ზარალი, რომელიც მას ქონდა სურათების გამოშვების შემდეგ 1925—26 წელში 145 ათასი მანეთის რაოდენობით. 100 ათასი მანეთი დაუხარჯავთ სცენარიების შესყიდვაზე და გადაღების დამთავრებამდე მოხსნილ სურათების დადგმაზე. 30 ათასი მანეთი დახარჯულა ორი ისეთი სურათის დადგმაზე, რომელიც ეკრანზე სულ არ გამოჩენილა. ადგილი ქონდა აგრეთვე სხვა ბევრ უთავბოლო ხარჯებსაც, როგორიცაა მაგალითად, 6 თვის განმავლობაში ერთ-ერთ მსახიობისთვის, რომელსაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მუშაობაში,—ჯამაგირის მიცემა, ზედმეტი ჯილდოს გაცემა, აშკარად საზარალო სურათების დადგმა, უსისტემოდ ზედმეტი მუშაობის გამოწვევა, რაც ერთი წლის განმავლობაში 10,140 საათს უდრის, თანამშრომლებისათვის ფარული ჯილდოების მიცემა და რაც მთავარია, ხელისუფლების განკარგულების შეუსრულებლობა ადმინისტრატიულ და სამეურნეო ხარჯების ოცი პროცენტით შემცირების შესახებ. სახკინმრეწვის ყოფილ გამგეობას არა თუ შეუმცირებია ასეთი ხარჯები, არამედ კიდევ უფრო გაუდიდებია, რაც სჩანს იქიდან, რომ გასული წლის სექტემბერთან შედარებით ოქტომბერში შტატი გაუდიდებიათ 28 კაცით, ხოლო მიმდინარე წლის იანვარში დროებით მიუღიათ 16 კაცი.

რა არის ყველაფერი ეს, თუ არა სახელმწიფო დოვლათის განიავება, ხელისუფლების დირექტივების შეუსრულებლობა და მისი აბუჩად აგდება?

საქართველოს სახკინმრეწვის მუშაობა რომ თავიდანვე მოიკოჭლებდა, ეს იცოდა მშრომელთა ფართო ფენებმა, რომ ამ ორგანიზაციის მუშაობას ვერ მოქონდა შესაფერი ნაყოფი, ესეც აშკარაა, მაგრამ თუ სახკინმრეწვში ასეთი ქაოსი იყო შექმნილი, ეს ბევრისთვის დღემდისაც უცნობი იყო.

კინომ დღეს თითქმის დაჩრდილა თეატრი, კინოსურათს დიდი ხალისით ეტანება მაყურებელი, შორს რომ არ წავიდეთ, ამის თავდებია რუსეთისა და საზღვარგარეთული ფილმების მიერ გადაღებული და თბილისში მოტანილი კინო-ლენტები, რომლის ჩვენების დროს მუდამ ხალხით სავსეა თბილისის კინო-თეატრები. მართალია, შემოტანილი სურათებიდანაც ბევრი კინოლენტები დღეს მიუღებელია იდეოლოგიურად, მაგრამ მათი კარგი დადგმა და მსახიობების მოხდენილი თამაში მაინც დიდათ იზიდავს მაყურებელს და ზოგიერთი კინოსურათის ჩვენება რამოდენიმე კვირას გრძელდება.

სჩანს თუ არა აქ საქართველოს სახკინმრეწვის ნამუშევარი? ძალიან სუსტად. მან თითო-ოროლას გამოკლებით ვერ მოგვცა ისეთი სურათები, რომელიც მაყურებელს მაინც დააკმაყოფილებდა, რომ არ ვილაპარაკოთ ამ სურათების იდეოლოგიურად გამართლებაზე.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიტანა დადგენილება სახკინმრეწვის ყოფილი გამგეობის პასუხისგებაში მისაცემად. ჩვენ გვჯერა, რომ პროლეტარული მართლმსაჯულება სათანადო პასუხს მოსთხოვს იმ ხალხს, რომლებიც ასე უთავბოლოდ ანადგურებდენ სახალხო ქონებას და მით ძირს უთხრიდენ ქვეყნის კეთილდღეობის საქმეს, მაგრამ ამასთან ერთად აუცილებლად საჭიროა საქართველოს კინომრეწველობის საქმეს მომავლისათვის მაინც მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. რომ კიდევ არ განმეორდეს მსგავსი შემთხვევები. სახკინმრეწვის მუშაობა უსათუოდ უნდა დადგეს გაჯანსაღების გზაზე და ეს კი შესაძლებელია ამ ორგანიზაციის სრული გადახალისებით, მასში ისეთი ელემენტების გაძლიერებით, რომლებიც საბჭოთა წყობილების მიმართ ლოიალურათ არიან განწყობილნი და აინტერესებთ არა საკუთარი ჯიბის გასქელება, არამედ საერთო საქმის სიყვარული.

საქართველოში კინო-მრეწველობის გასაჩაღებლად არსებობს სათანადო პირობები, თუ ამ ორგანიზაციის საქმიანობა შესაფერ დონეზე იქნება დაყენებული და ჩვენ ვფიქრობთ, რომ სახკინმრეწვის ახალი ხელმძღვანელები მიაქცევენ ამას ყურადღებას.

საქართველოს სახკინმრეწვში გამეფებული უყაირათობა და დაუდევრობა არის ერთი რგოლი იმ საერთო ჯაჭვიდან, რომელსაც ზოგიერთ ჩვენს ორგანიზაციებში სამწუხაროდ ჯერ კიდევ შეხვდებით.

მუშათა და გლეხთა ინსპექციას ასეთი ბოროტების აღმოფხვრის საქმეში დაკისრებული აქვს ფრიად საპასუხისმგებლო მოვალეობა. მისი მუშაობა ამ ფრონტზე რომ უფრო ნაყოფიერი იქნეს, ამისათვის საჭიროა თვითეულმა მშრომელმა დაეხმაროს მას ამ მუშაობაში, ხელი შეუწყოს დაუდევრობის გამომჟღავნებას და თამამად ამხილოს ბოროტმოქმედებაში შემჩნეული პირები თუ ჯგუფები.

ჩვენ ვერას შემთხვევაში ვერ დაუშვებთ, რომ ესა თუ ის ორგანიზაცია მუშაობდეს არანორმალურად და მით ზიანს აყენებდეს საერთო საქმეს — სოციალისტურ აღმშენებლობას.

სხვათა შორის, ეს მაგალითიც საკმარისია იმის გასათვალისწინებლათ, თუ როგორი სიფხიზლეა საჭირო ქვეყნის მშენებლობის საქმის წარმატებით საწარმოებლად და როგორის სისტემით უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა ასეთი უყაირათობის აღმოსაფხვრელად.

მეთვალყურე.

სარედაქციო კოლეგია.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კომის ქუჩა № 68.